პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
კვირა,
16
ივნისი
1935 წ.
№ 139 (4295)

დღეს ნომერში

- — კულტურული საბჭოთა ვაჭრობის გაშლილი პროგრამა (მეთაური).
- — აზერბეიჯანის და საქართველოს მწერლების მისალმება ამხ. ლ. ბერიას.
- — აზნავთის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.
- — საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (მე-2 გვ.).
- — პარტიულ თემაზე — ზოგი რამ კომუნისტურ მორალზე (მე-3 გვ.).
- — პარკის დამზადება (მე-3 გვ.).
- — თვითმფრინავ-გიგანტების ფონდში (მე-4 გვ.).
- — 30 წლის წინათ (მე-4 გვ.).
- — კომუნისტების გამარჯვება და საფრანგეთის პრესა.
- — საფრანგეთის პასუხი გერმანიის მემორანდუმზე.
- — ინგლის-გერმანიის საზღვაო მოლაპარაკება.

კულტურული საბჭოთა ვაჭრობის გაშლილი პროგრამა

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის მიერ მიღებული დადგენილება ცეკავშირის მოხსენების გამო წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის დოკუმენტს.

მიმდინარე ეტაპზე, როდესაც საქონელბრუნვა მაღალი ტემპებით ვითარდება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

კულტურულ საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საქმეში საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას აქვს ზოგიერთი მიღწევები. საცალო საქონელბრუნვა 1933 წელს შეადგენდა 219,9 მილიონ მანეთს, 1934 წელს ის ავიდა 257,6 მილიონ მანეთამდე ანუ გაიზარდა 121,6 პროცენტით. 1934 წლის განმავლობაში საცალო სავაჭრო ქსელს მოემატა 265 სავაჭრო ერთეული, მათ შორის 72 რთული ასორტიმენტის რაიმაღაზია და 20 კოლმაღაზია. მიღწეულია საქონელბრუნვის ხარჯების ეკონომია. შესრულდა ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმა.

მიუხედავად ყოველივე ამისა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ამ ჟამად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. 1934 წლის საბოლოო ზარალი შეადგენს 2560 ათას მანეთს. 1935 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში საქონელბრუნვის გეგმა შესრულდა მხოლოდ 88,5 პროც. 1934 წელი ზარალით დაამთავრა რაიკავშირების და სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა მნიშვნელოვანმა ნაწილმა. მაგრამ „ყველაზე უფრო სამარცხვინო ფაქტს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში წარმოადგენს გაფლანგვების და მტაცებლობის უზარმაზარი თანხა, რომელიც 1934 წელს 2302 ათას მანეთს აღწევს და დანაკლისი 1802 ათასი მანეთის რაოდენობით" (ც. კ-ის მე-3 პლენუმის რეზოლუცია).

როგორ მოხდა, რომ გაფლანგვებმა, მტაცებლობამ, ზარალმა და უხეირო საქმიანობამ ასე ფართო ხასიათი მიიღო? ამის მიზეზია „როგორც ცენტრალური აპარატისა, ისე პერიფერიის ბევრი კოოპერატიული მუშაკის უუნარობა და სურვილის უქონლობა ახლებურად გადაქმნან მუშაობა გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის პირობებში, ცენტრალური აპარატის მოუქნელობა და არაოპერატიულობა ძირეული აპარატის ხელმძღვანელობის საქმეში, — რენტაბელობისათვის, სამეურნეო ანგარიშისათვის, მშრომელ მეპაეთა და სახელმწიფოს მიერ კოოპერაციაში დაბანდებული ყოველი კაპეიკისათვის ბრძოლის გაუწევლობა, მთელ რიგ რგოლებში, მათ შორის ცენტრალურ აპარატშიაც მავნე, სხვის ხარჯზე ყოფნის განწყობილებათა არსებობა — „სულერთია, სახელმწიფო მაინც დაგვეხმარებაო", აქედან თვითდინება მუშაობაში და ფინანსიური დისციპლინის, ზარალისათვის პასუხისმგებლობის უქონლობა, მტაცებლობისა და გაფლანგვების წინააღმდეგ ბრძოლის გაუწევლობა და გეგმების შესრულების საშუალო ციფრებზე გამოკიდება" (ც. კ-ის მე-3 პლენუმის რეზოლუცია).

შემდეგ, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა და მუშაკები არ წარმოადგენს ბევრი რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის მზრუნველობისა და ყურადღების ობიექტს. იშვიათი არ არის კოოპერაციის სახსრების პირდაპირი და არაპირდაპირი ჩამორთმევის სამარცხვინო ფაქტები, კადრების განიავება და ხშირი ცვალებადობა, „სისტემის დანაგვიანება კულაკური, ქურდბაცაცური და მევახშური ელემენტებით". სარევიზიო კომისიების და [illegible] კომისიების უმოქმედობა. მეტისმეტად დიდი სატრანსპორტო ხარჯები, დამახინჯებანი საქონლის შესყიდვის საქმეში. „კოოპერაციას ჰქონდა ასეთი პრაქტიკა: ყიდულობდნენ ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდათ, საქონელმცოდნეები შესყიდული საქონლიდან ღირებულობიდან პროცენტებს დამოუკიდებლად იმისა, იყო მოთხოვნილება ამ საქონელზე თუ არა" (ბერია).

აღნიშნული ნაკლოვანებათა სწრაფი ლიკვიდაციის და ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციულ - სამეურნეო საქმიანობის გაჯანსაღების და განმტკიცების მიზნით ცეკავშირმა უნდა გარდაქმნას მთელი სისტემის მუშაობა და ყურადღების ცენტრში მოაქციოს სასოფლო სამომხმარებლო კოოპერაცია, გააძლიეროს მასზე უშუალო ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება.

დღემდის, როგორც წესი, არ ხდებოდა სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარის არჩევა მეპაეთა მიერ. საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებით სამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობების თავმჯდომარეების არჩევა და კოოპერატიული მუშაობიდან განთავისუფლება მხოლოდ მეპაეთა საზოგადო კრების საქმეა. ყოველ კვარტალში სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა თავმჯდომარეებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ თავიანთი მუშაობის შესახებ მეპაეთა საზოგადო კრებას. კრებაზე აუცილებლად უნდა გაკეთდეს სარევიზიო კომისიების თანამოხსენება. ამ ღონისძიების სისტემატიური გატარება გააძლიერებს მასების კავშირს კოოპერაციის ხელმძღვანელობასთან და მაღალ საფეხურზე აიყვანს ანგარიშგების და კონტროლის საქმეს.

დასახულ ღონისძიებათა შორის, რომელიც მიიღო ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, აღსანიშნავია შემდეგი.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარესთან (აგრეთვე ავტონომიური ოლქების სამომხმარებლო კავშირებთან), სისტემის ყველა რგოლის მუშაობის უკეთ მოგვარების მიზნით, ეწყობა კვალიფიციური მუშაკებისაგან სპეციალური რევიზორ ინსტრუქტორთა ჯგუფი. ეს ჯგუფი უნდა მოეწყოს არსებული შტატის და ხელფასის ფონდის ფარგლებში. რევიზორ-ინსტრუქტორთა ჯგუფის მოვალეობაა ყოველდღიური, მოულოდნელი რევიზიის მოხდენა და აგრეთვე რაისამომხმარებლო და სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა ფულადი და მატერიალური ღირებულებების და შემოსავალ-გასავლის დოკუმენტების შემოწმება. რევიზორ-ინსტრუქტორთა ჯგუფი (სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობების არჩევითი სისტემის აუცილებელ გატარებასთან ერთად) გაფლანგვების და დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის უძლიერესი ბერკეტია. ამ ჯგუფის მუშაობას უნდა შევუქმნათ ყველა პირობა.

როგორც უკვე აღნიშნული იყო გაფლანგვებმა მიიღო ფართო ხასიათი სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში.

ცეკავშირმა სასწრაფოდ უნდა გააფორმოს ყველა მასალა გაფლანგვების, მტაცებლობის, კოოპერატიული ორგანიზაციების უყაირათო საქმიანობის შესახებ და გადასცეს პროკურორს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. რესპუბლიკის პროკურორმა ამ საქმეთა გამოძიება უნდა დაამთავროს სწრაფად. უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისჯილი თანხის დროული გადახდევინების კონტროლი. აგრეთვე მეორე და მესამე კვარტალში რაიონებში უნდა გაიმართოს მთელი რიგი საჩვენებელი პროცესები. შემდეგში კი, როგორც წესი, ახლად აღძრული საქმეები უნდა დამთავრდეს ერთი თვის ვადაში მაინც.

ერთ-ერთი დიდი სენი ცეკავშირის პრაქტიკაში არის საქონლის ნისიად გაცემა.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციების მხრივ მომხმარებლებისათვის საქონლის და რაიმე პროდუქტების გაცემა კრედიტად ჩაითვლება „როგორც კოოპერატიულ საშუალებათა განიავება და მტაცებლობა".

პლენუმის მიერ სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე დაყენებული ამოცანების გადაჭრის საქმეში უაღრესად დიდია რაიონული და რესპუბლიკური პრესის მნიშვნელობა. ჩვენი პრესა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გამოსწორების და გარდაქმნის მოწინავე პოზიციებზე უნდა დადგეს.

ღონისძიებანი სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გამოსწორების და გარდაქმნისათვის მოცემულია ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხ. ბერიას გამოსვლაში ც. კ-ის მესამე პლენუმზე და ც. კ-ის პლენუმის დადგენილებაში. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკების და რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა იბრძოლონ ამ ღონისძიებათა გატარებისათვის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

მოსკოვი, 14 ივნისი ა-წ 13 ივნისს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და ვ. ი. მეჟლაუკმა სახკომსაბჭოში მიიღეს სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელები, გამგეობის თავმჯდომარის ამხ. მარიასინის მეთაურობით, და სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ სამხარეო და საოლქო კანტორათა მმართველები, რომელნიც მოსკოვში ჩამოსული არიან თავის სრულიად საკავშირო თათბირზე.

საუბარში, რომელიც დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა, ადგილებიდან ჩამოსულმა მთელმა რიგმა ამხანაგებმა გააშუქეს ადგილობრივ სახელმწიფო ბანკის მუშაობის სხვადასხვა მხარე. განსაკუთრებით სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებათა მუშაობა საქონელბრუნვის და სასოფლო - სამეურნეო ორგანიზაციების, კერძოდ მრეწველობის, დაკრედიტების დარგში, კოლმეურნეობებს შორის სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა მუშაობის განვითარება და სხვ., აგრეთვე აღნიშნეს სახელმწიფო ბანკის ორგანოთა მუშაობის ტექნიკის გაუმჯობესების აუცილებლობა.

შეაჯამა რა შედეგები, ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ხაზი გაუსვა საბანკო მუშაობის პასუხისმგებლობას და ამოცანათა ზრდას და მისცა სხვადასხვა მითითება სახელმწიფო ბანკის მთელი სისტემის შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად. (ადს).

მეტროს მუშაობა ერთი თვის განმავლობაში

მოსკოვი, 14 ივნისი. წინასწარი ცნობებით მეტროს მატარებლებმა 15 მაისიდან 14 ივნისამდე (ამ დღის ჩათვლით) გადაიყვანეს 6.586 ათასი მგზავრი. ყველაზე უფრო დაძაბული იყო პირველი 5-6 დღე, როცა მოსკოვლები ასიათასობით ისწრაფოდნენ, რომ გაცნობოდნენ შესანიშნავ მიწისქვეშა დარბაზებს. მაშინ დღეში 422 ათასამდე მგზავრი გადაჰყავდათ, შემდეგ ექსკურსანტების რაოდენობამ იკლო. უკვე მეორე დეკადიდან მგზავრთა რაოდენობა სტაბილური შეიქნა. ახლა მეტროს გადაჰყავს დაახლოებით 150 ათასი კაცი დღეღამეში. რამდენადმე მატულობს მგზავრთა რიცხვი გამოსასვლელ დღეებში. მაგალითად, 6 ივნისს გადაყვანილ იქნა 257 ათასი კაცი, 12 ივნისს —245 ათასი (ადს).

საფრანგეთის პასუხი გერმანიის მემორანდუმზე

პარიზი, 14 ივნისი. პერტინაქსი „ეკო დე პარიში" სწერს: საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოამზადა პასუხი გერმანიის 31 მაისის მემორანდუმზე, რომელშიაც ნათქვამი იყო „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ლოკარნოს ხელშეკრულებასო".

პერტინაქსი სასტიკად აკრიტიკებს ლავალის ტაქტიკას ამ საკითხში.

„გერმანიის იურიდიულმა არგუმენტებმა,—სწერს პერტინაქსი,— ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება ვერც ლონდონსა და ვერც რომში. ამიტომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ის იქნებოდა, რომ ეს არგუმენტები მთლიანად უარგვეყო.

მაგრამ ლავალმა საჭიროდ სცნო დაეწყო წინასწარი კონსულტაცია ორ გარანტთან. ამით იგი გაეხლართა ლოკარნოს პაქტის ხვეულებში. იმ პაქტისა, რომელიც შეიძლება განმარტებულ იქნას მხოლოდ ერთა ლიგის წესდების დახმარებით და რომელიც წარმოადგენს ყველაზე უფრო ბუნდოვან ხელშეკრულებას ყველა ხელშეკრულებათაგან. ამ მოუფიქრებელ ნაბიჯით ჩვენს საწინააღმდეგო იარაღს ვაძლევთ ინგლისის და იტალიის პოლიტიკოსებს, რომლებიც დღემდე არ შეხებიან ამ საკითხს".

პერტინაქსი აღნიშნავს, საფრანგეთის მთავრობა არ დაიწყებს ომს ისე, თუ წინასწარ არ უზრუნველჰყო თავისთვის ინგლისის საკეთილო დამოკიდებულებაო. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, თითქოს საფრანგეთი ინგლისს ან იტალიას აძლევდეს იმის უფლებას, რომ კონტროლი და მეთვალყურეობა გაუწიონ მის პოლიტიკას.

ჩერდება რა საქმის იურიდიულ მხარეზე, პერტინაქსი აღნიშნავს, საფრანგეთის ხელშეკრულებანი საბჭოთა კავშირთან, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთთან ემყარება ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლის პირველ პარაგრაფს და მე-15 მუხლის მე-7 პარაგრაფს. მე-16 მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად, ერთა ლიგის ყველა წევრი ვალდებულია ომი გამოუცხადოს იმ ქვეყანას, რომელიც თავდასხმას მოახდენს. ამგვარად საფრანგეთს უფლება აქვს ვისაც უნდა იმას აღმოუჩინოს დახმარება, ლოკარნოს გარანტების დაუდასტურებლად.

უფრო რთულია მე-15 მუხლის მე-7 პარაგრაფის საქმე. ეს პარაგრაფი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ერთა ლიგის საბჭო ვერ შესძლებს ერთსულოვანი გადაწყვეტილების გამოტანას და თავისუფალ მოქმედების უფლებას აძლევს თავის წევრებს.

ამის შესახებ ლოკარნოს ხელშეკრულება შეიცავს შენიშვნას, რომელშიაც ნათქვამია, ეს მოქმედება მიმართული უნდა იყოს იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც თავდასხმას მოახდენსო.

პერტინაქსი აღნიშნავს, რომ ეს ბუნდოვანი ფრაზა მას მუდამ საშიშრად ეჩვენებოდა, ვინაიდან იგი რამდენადმე ინგლისს და იტალიას უდებს ხელთ გადაწყვეტილების მიღების უფლებას. მაგრამ არც ინგლისს, არც იტალიას დღემდე არ აღუძრავთ ეს საკითხი და ლავალმა შეცდომა ჩაიდინა, როცა იგი საფრანგეთისათვის არახელსაყრელად განმარტა. (ადს).

იაპონიის ნაწილები ემზადებიან
გადამწყვეტი მოქმედებისათვის

შანხაი, 12 ივნისი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, ადგილობრივი გაზეთები ათავსებენ ჩანჩუნიდან მიღებულ ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, იაპონიის სარდლობამ ჩრდილოეთ ჩინეთში განკარგულება მისცა ყველა თავისადმი დაქვემდებარებულ ნაწილს მზად იყავით გადამწყვეტი ზომების მისაღებადო. ჩინეთის ჯარებთან შეტაკების შემთხვევაში, რომელიღაც ოლქიდან საზღვარზე უნდა გადაფრინდნენ საჰაერო ესკადრილიები. იქითვე უნდა დაიძრან სანაპირო სამხედრო ნაწილებიც (ადს).

—o—

ჩრდილოეთ ჩინეთში კვლავ მიდიან იაპონიის ჯარები

შანხაი, 14 ივნისი. მანჯურიიდან კვლავ მიდიან იაპონიის ჯარები და თავს იყრიან ჩინეთის დიდი კედლის გადასასვლელებთან. განსაკუთრებით ძლიერია მათი კონცენტრაცია შანჰაიგუანთან. იაპონიის სამხედრო წრეების განცხადებით, ხვალ ტიანძინსა და ბეიპინში მოფრინდება 30 სამხედრო აეროპლანი, „რომელნიც თვალყურს ადევნებენ ჩინეთის ჯარების გასვლას ხებეის პროვინციიდან".

ბეიპინში გამეფებულია პანიკა. სამხრეთისაკენ მიმავალი მატარებლები სავსეა ვაჭრებით, მოხელეებით და მათი ოჯახის წევრებით.

შეშფოთებული არიან აგრეთვე უცხოელთა წრეები. ტიანძინში იტალიის კონცესიის ხელისუფლება კონცესიას გარს ავლებს ეკლიან მავთულს, რომელშიაც გაშვებულ იქნება მაღალი ძაბვის ელექტროდენი (ადს).

—o—

ჩან კაი-ში იაპონელებთან შებრძოლების წინააღმდეგია

ლონდონი, 14 ივნისი. ლონდონის გაზეთები ცნობებს ჩრდილოეთ ჩინეთის ამბების შესახებ უკომენტარიოდ ბეჭდავენ.

როგორც „დეილი მეილი" აღნიშნავს, ჩან-კაი-შის აცნობებს, რომ ნანკინის მთავრობის ზოგიერთი წევრი მხარს უჭერს იაპონელებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ჩან-კაი-ში აზრისაა, რომ ჩინეთში კომუნისტური მოძრაობის ჩაქრობას უფრო დიდი და უპირატესი ყურადღება ესაჭიროება, ვიდრე იაპონელებთან ბრძოლას. (ადს).

—o—

გარბიუსი და მალრო ვარშავაში ჩავიდნენ

ვარშავა, 14 ივნისი. პოლონეთის გაზეთების ცნობით, ვარშავაში ჩავიდნენ ფრანგი მწერლები ბარბიუსი და მალრო. მათ განზრახული აქვთ გაეცნონ რეჟიმს პოლონეთის საპატიმროებში და ბერეზე — ართუსკის საკონცენტრაციო ბანაკში. (ადს).

ჩინეთის წითელმა არმიამ ახალი პუნქტები დაიჭირა

ტოკიო, 14 ივნისი. სიმბუნრენგოს სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტი ადასტურებს, რომ იუნანფუდან მიღებული ცნობით, ჩინეთის წითელმა არმიამ 1 ივნისს ლუდინი დაიჭირა, ხოლო 3 ივნისს — კანდინი.

იმავე სააგენტოს ხანკოუელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის წითელი არმიის ათას კაციანმა რაზმმა, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, 13 ივნისს დაიჭირა ძინძინი (სტრატეგიული პუნქტი ჩანშას ჩრდილოეთით) და განაგრძობს შეტევას სინინის მიმართულებით, რომელიც მდებარეობს ხუნანის პროვინციის დედაქალაქის ჩანშას ჩრდილოეთით (ადს).

—o—

საფრანგეთის მთავრობის ნოტა
ამერიკის შეერთებულ შტატებს

პარიზი, 14 ივნისი. საფრანგეთის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც ატყობინებს, რომ არ შეუძლია მორიგი შესატანის გადახდა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი დავალიანების ანგარიშში. მორიგი შესატანის გადახდის ვადაა 15 ივნისი. ნოტაში გამოთქმულია სურვილი; უახლოეს დროში დაიწყოს მოლაპარაკება ვალების საკითხზე შეთანხმების დასადებად (ადს).

—o—

ამერიკული გაზეთი ჩრდილოეთ-ჩინეთის ამბების შესახებ

შანხაი, 14 ივნისი. ყოველკვირეული ჟურნალი „ჩაინა უიკლი რევიუ", რომელსაც ამერიკელები სცემენ შანხაიში, თავის უკანასკნელ ნომერში ათავსებს მთელ რიგ მკაცრ სტატიებს, მიძღვნილს ჩრდილოეთ ჩინეთის ამბებისადმი.

ნანკინის მთავრობის პოზიციის გამო ჟურნალი სწერს:

„წინააღმდეგობის გაუწევლობის პოლიტიკა მარცხით დამთავრდა. ჩინეთი, როგორც დამოუკიდებელი ერი, დაღუპვის საფრთხის წინაშე დგას. იბრძოლებენ თუ არა ჩინელები თავიანთი უფლებებისათვის, თუ თავისი წინაპრების მიწა-წყალს და მომავალი თაობის ბედიღბალს ვერცხლის ლანგარზე მიართმევენ იაპონელებს? ეს კითხვა დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვს, ვინაიდან იაპონელთა შემოსევა უკვე მიუახლოვდა ერის გულს.

ახლოვდება დღე, როცა შეერთებული შტატები მარტო, ან სხვებთან თანამშრომლობით, გადასჭრიან იაპონიის პრობლემას, მაგრამ ეს ვერ უშველის ჩინეთს, თუ ჩინეთის ხალხი არ დაგვანახვებს, რომ იგი მზად არის დაიცვას თავისი ქვეყანა. ჩინეთს სურს მიიღოს გარედან დახმარება. ამ დახმარების მიღების ერთადერთი საშუალებაა იბრძოლოს გადაჭრით და თავგანწირვით თავისი უფლებებისათვის. მაშინ დახმარებას უფრო მალე გაუწევენ" (ადს).

აზნავთის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

აზნავთსა და აზნავთის ქარხნებში წარმატებით მუშაობისა და 1933 და 1934 წლების საწარმოო პროგრამის გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

ლენინის ორდენით:

1. ა. პ. პეტერსონი—ტრესტ აზნავთის მმართველი.
2. ს. მ. ბოროცი—ტრესტ აზნავთის მმართველის მოადგილე.
3. ს. ზ. სლუცკი—აზნავთის ქარხნების ტრესტის მმართველი.
4. გ. ხ. გაზარიანი—აზნავთის ორჯონიკიძის სახელობის სარეწაოს დირექტორი.
5. ნ. მ. კუზმინი—აზნავთის აზიზბეკოვის სახელობის სარეწაოს დირექტორი.
6. ი. ი. ტოლბინი—ტრესტ აზნავთის მთავარი გეოლოგი.
7. ვ. ლ. ლისტენგარტენი—აზნავთის სტალინის სახელობის სარეწაოს გეოლოგი.

შრომის წითელი დროშის ორდენით:

1. რ. ხ. პროზუმენტიკი—აზნავთის ქარხნების ტრესტის სტალინის სახელობის ქარხნის დირექტორი.
2. ე. გ. გინზბურგი — აზნავთის ქარხნების ტრესტის ზოდიონის სახელობის ქარხნის დირექტორი.
3. მ. ა. ნარიმანოვი — აზნავთის ორჯონიკიძის სახელობის სარეწაოს რაიკომის მდივანი.
4. დ. ხ. ახუნდ-ზადე—აზნავთის ლენინის სახელობის სარეწაოს რაიკომის მდივანი.
5. მ. ი. კრილოვი—აზნავთის ლენინის სახელობის სარეწაოს დირექტორი.
6. ვ. კ. მახნოვი—აზნავთის სტალინის სახელობის სარეწაოს დირექტორი.
7. მ. უ. ბაბაევი—აზნავთის სტალინის სახელობის სარეწაოს ბურღვის ჯგუფის გამგე.
8. მ. მ. კარპენკო—აზნავთის კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოს ბურღვის პირველი ჯგუფის გამგე.
9. ა. ბ. აკოპოვი—აზნავთის მიქოიანის სახელობის სარეწაოს რაიკომის მდივანი.
10. ა. ა. კამლაძე—აზნავთის არტიომის სახელობის სარეწაოს დირექტორი.
11. კ. ა. მაშკოვიჩი — აზნავთის აზიზბეკოვის სახელობის სარეწაოს გეოლოგი.
12. ა. ნ. ხაჩატუროვი—აზნავთის ორჯონიკიძის სახელობის სარეწაოს ბურღვის მე-10 ჯგუფის გამგე.
13. პ. ფ. კალაშნიკოვი—აზნავთის ლენინის სახელობის სარეწაოს ექსპლოატაციის მე-18 ჯგუფის გამგე.
14. რ. ა. თიანქსიანი—აზნავთის აზიზბეკოვის სახელობის სარეწაოს ბურღვის მე-3 ჯგუფის გამგე.
15. აფტულა ობაზოვი—აზნავთის აზიზბეკოვის სახელობის სარეწაოს ბურღვის ოსტატი.
16. ნ. დ. პოლიკარპოვი—აზნავთის ორჯონიკიძის სახელობის სარეწაოს ბურღვის ოსტატი.
17. გ. კ. იშმაკოვი—აზნავთის სტალინის სახელობის სარეწაოს ბურღვის ოსტატი.
18. მ. ა. ალიევი—აზნავთის ლენინის სახელობის სარეწაოს მბურღავი.
19. შამედ მაგერამი—აზნავთის ლენინის სახელობის სარეწაოს ღრმა ტუმბოვანი ექსპლოატაციის ბრიგადირი.
20. მუსეიბ დუნია—აზნავთის კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოს ბურღვის ოსტატი.
21. ნ. მ. ჩეკრიჟოვი—აზნავთის მრეწვენიშნის დირექტორი.
22. არსენ ვანესოვი—აზნავთის სტალინის სახელობის სარეწაოს ბურღვის ოსტატი.

სსრ კავშირის ცაკის საპატიო სიგელით:

1. გ. მ. გურიანოვი — აზნავთის აზიზბეკოვის სახელობის სარეწაოს ექსპლოატაციის მე-2 ჯგუფის გამგე.
2. მ. ფ. გურგენიძე — აზნავთის სტალინის სახელობის სარეწაოს ექსპლოატაციის მე-6 ჯგუფის გამგე.
3. იპალ ახადოვი — აზნავთის კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოს მთავარი ინჟინერი ექსპლოატაციის დარგში.
4. პ. ი. სიჩევი — აზნავთის ლენინის სახელობის სარეწაოს ბურღვის მე-2 ჯგუფის გამგე.
5. ს. რ. გრობშტეინი — აზნავთის სტალინის სახელობის სარეწაოს დირექტორის მოადგილე.
6. მ. ს. სიროტოვი — აზნავთის ლენინის სახელობის სარეწაოს დირექტორის მოადგილე.
7. ნ. გ. გეიდაროვი — აზნავთის მოლოტოვის სახელობის სარეწაოს დირექტორი.
8. ალი აბი კულიევი — აზნავთის ქარხნების ტრესტის სტალინის სახელობის ქარხნის დირექტორი.
9. ა. ი. პარფენოვი — აზნავთის ელექტროძიების კანტორის დირექტორი.
10. დ. ვ. ჟაბრევი — აზნავთის ელექტროძიების კანტორის დირექტორის მოადგილე.
11. პ. ნ. რიბალკინი — აზნავთის კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოს ბურღვის ოსტატი.
12. ა. ი. რედკოზუბოვი — აზნავთის აზიზბეკოვის სახელობის სარეწაოს ბურღვის ოსტატი.
13. ვ. ტ. მალიშკო — აზერბეიჯანის ცენტრალური ინსტიტუტის გეოქიმიური ლაბორატორიის გამგე.
14. ი. ა. ვორონოვი — შმიდტის სახელობის ძალოვანი სადგურის უფროსი მემანქანე.
15. ალი იბრაჰიმოვი—შმიდტის სახელობის ქარხნის ჩამომსხმელ საამქროების საკონტროლო პუნქტის ხელმძღვანელი.
16. ი. კ. ტიდემანი—აზნავთის ორჯონიკიძის სახელობის სარეწაოს ტექნიკოსი.
17. მ. ბ. კარაპეტიანი—აზნავთის სტალინის სახელობის სარეწაოს ბურღვის ოსტატი.
18. იარ ახმედი—ტრესტ აზნავთის ბურღვის უფროსი ოსტატი საჰერი სამუშაოების დარგში.
19. გულამ ალეკპერი—აზნავთის კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოს მზეთავი.
20. ხალილ ტაგი—აზნავთის არტემის სახელობის სარეწაოს ღრმა ტუმბოს ბრიგადირი.
21. ი. ს. ხამედი—აზნავთის კიროვის სახელობის სარეწაოს ბურღვის ოსტატი.
22. ს. ი. კარიაგინი—ტრესტ აზნავთის „ცერკინის" ჩამომსხმელ საამქროს განყოფილების კანტორის გამგე.
23. ი. ხ. ლენსკი—აზნავთის ქარხნების ტრესტის ბათომის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების დირექტორი.
24. იაკუბოვი აბდულა მამედ ხანი—აზნავთის ლენინის სახელობის სარეწაოს ბურღვის უფროსი ოსტატი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი — **ი. უნშლიხტი.**

მოსკოვი, კრემლი.
15 ივნისი, 1935 წ.

ლენინგრადელი და ფრანგი მოცურავეების შეჯიბრება

ლენინგრადი, 14 ივნისი. დღეს ლენინგრადელ და ფრანგ მოცურავეთა შეჯიბრებაში გამარჯვება ლენინგრადელებს ხვდათ.

100 მეტრზე პირაღმა ცურვის დროს ლენინგრადელმა მუშკოვსკიმ დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი ერთ წუთსა და 22,5 წამში. ფრანგმა მოცურავე კარმიემ ეს დისტანცია გასცურა 1 წუთსა და 26 წამში.

შემდეგ გაიმართა ქალთა ცურვა 50 მეტრზე ბრასით. პირველი ადგილი დაიჭირა ლენინგრადელმა ქალმა სემეროვამ — 44,9 წამი. ფრანგმა ქალმა ჟუაშამ—49,4 წამი.

მამაკაცთა ცურვაში თავისუფალი სტილით 800 მეტრის მანძილზე კოტაევმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი. — 11 წუთი და 9,6 წამი. რიზომ (საფრანგეთი)—14 წუთი და 3,4 წამი.

პირაღმა 100 მეტრის მანძილზე უკანასკნელ ცურვაში საკავშირო რეკორდი დაამყარა აგრეთვე ჩეინოვამ (ლენინგრადი)—1 წუთი და 29 წამი. რუემ (საფრანგეთი)—1 წუთი 55-წამი (ადს).

აზერბეიჯანელი პოეტები ტფილისში

აზერბეიჯანის და საქართველოს მწერლების მისალმება

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს—ამხ. ბერიას

ძვირფასო ამხ. ლავრენტი!

ჩვენ, აზერბეიჯანის და საქართველოს მოძმე რესპუბლიკების საბჭოთა მწერლები, შეკრებილნი სოციალისტური ლიტერატურის მთლიანი არმიის ორი ნაციონალური რაზმის შემოქმედებითი დაკავშირების საღამოზე, მხურვალე სალამს გიძღვნით შენ, ამიერ - კავკასიის ბოლშევიკების სახელოვან ხელმძღვანელს, დიდი სტალინის ურყევ მოწაფეს და შენის სახით — ამიერ - კავკასიის ბოლშევიკურ სამხარეო კომიტეტს, სოციალისტური მშენებლობის და კულტურის ყველა ფრონტზე ჩვენს მიღწევათა ორგანიზატორს.

ის ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში მოიპოვეს ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკებმა ამხ. სტალინის ბრძნული მითითებების საფუძველზე და რომელთა შემწეობითაც ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკები ჩადგნენ საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგში —გვაფრთოვანებენ, შთაგვაგონებენ და გვრაზმავენ ჩვენ — მხატვრული სიტყვის ოსტატებს, ჩვენი გმირული ეპოქის ღირსი მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

ვმუშაობთ რა ძმური სოლიდარობის და ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელების პირობებში, იმ პოლიტიკისა, რომლის განსახიერებასაც ამიერ - კავკასიის ფედერაცია წარმოადგენს, ჩვენ, ამიერ - კავკასიის ხალხების საბჭოთა მწერლები, მტკიცედ ვდგევართ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე და მზად ვართ მთელი ჩვენი შემოქმედებითი ძალები მოვახმაროთ მშრომელი მასების კომუნისტური, ინტერნაციონალური აღზრდის დიად საქმეს.

შემოქმედებითი შეხვედრების და ურთიერთ თარგმანების პრაქტიკის განგრძობითა და გაღრმავებით ჩვენ დაუღალავად ვიბრძოლებთ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანისა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების საბჭოთა მწერლების ნამდვილი და მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

მარქს - ლენინ - სტალინის უძლეველი დროშის ქვეშ ჩვენი რიგების მაქსიმალურად შემჭიდროებით ჩვენ გავამართლებთ იმ სიყვარულსა და ნდობას, რომლითაც ჩვენი სოციალისტური სამშობლო ეკიდება საბჭოთა ლიტერატურას.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ხალხთა გენიალურ ბელადს — სოციალიზმის უდიდეს [illegible], ჩვენს საყვარელ სტალინს!

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის ბოლშევიკურ სამხარეო კომიტეტს და მის სახელოვან მესაჭეს — ამხ. ლ. ბერიას!

შემოქმედებითი შეხვედრა მწერალთა სასახლეში

გუშინ, 15 ივნისს მწერალთა სახლში გაიმართა მოძმე აზერბეიჯანელ პოეტების და ქართველ მწერალთა შემოქმედებითი შეხვედრა.

საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი ამხ. დ. დემეტრაძე, რომელმაც ხაზი გაუსვა მოძმე რესპუბლიკათა პოეტების შეხვედრის საზოგადოებრივ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ამხ. დემეტრაძის შესავალი სიტყვის შემდეგ მისალმებით გამოვიდა პოეტი გ. ლეონიძე, რომელმაც წაიკითხა სპეციალურად მიძღვნილი ლექსი აზერბეიჯანის პოეტებისადმი.

მეტად საინტერესო და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა აზერბეიჯანის პოეზიის შესახებ თურქმა მწერალმა ალი ნაზიმმა.

მოხსენების შემდეგ ქართველმა პოეტებმა და მსახიობებმა წაიკითხეს აზერბეიჯანის კლასიკოსი მწერლების და აშუღების ლექსები. ხოლო შემდეგ საკუთარი ლექსებით გამოვიდნენ სტუმრები.

დასასრულს მქუხარე ტაშის ცემით მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას და აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ც. კ-ს —ამხ. ბაგიროვს.

სალამი

ორდენოსან აზერბეიჯანის პოეტებს

განახლებული აზერბეიჯანის
ახალი ქვეყნის ოქროს თაობავ!
თქვენი მგზავრობის გვესმა ექვანი
და თქვენი ტკბილი ენის გალობა.

გხვდებით, გეხვევით. რაც ჰქნა წარსულმა,
ჩვენმა მარჯვენამ გაკვრით გახია,
რა დიდიხანი თურმე გასულა,
რაც ერთმანეთი არ გვინახია!

არეზის წყლიდან, კასპიის ზღვიდან,
ბულბულებივით მოფრენილებო,
წარსულმა ბევრი სირცხვილი ზიდა,
ჩვენ გამარჯვება ჩვენი ვინებოთ.

გვახსოვს, ჩვენ შუა ელავდა ხმალი,
ცხედრის მოტირალს აღარ ვტოებდით,
არც მოერთგულე, არც თანახმანი...
ცალკე ვცხოვრობდით გაუტოლებლივ.

ცას აბნელებდა კვამლების სისქე,
ძირს მიწა ჰყარდა კაცის მძორითა,
და კავკასიის მცხუნვარე მზის ქვეშ.
აკვნის რიცხვს კუბოს რიცხვი სწონიდა.

გძელი ხმლები და ციხე, ჯებირი
გადავაბარეთ მწუხარე დროსა,
როცა გაგვიძღვა გამარჯვებული,
სტალინის ხელი, ლენინის დროშა.

ახლა საბჭოთა ძმობა გულიდან
ერთ ამოკვეთილ ღარზე წავიდა;
მთვრალნი ვართ ძმური სიყვარულითა,
როგორც მაისის მიწა მწვანითა.

ახლა გახსენით თქვენი ქამანჩა,
და ჰიანური ზღაპრულ თილისმა,
ახლა სთქვით ვალი, რაც თქვენზე დარჩა,
სიმღერას თქვენსას ისმენს ტფილისი!

მოდით,
აქ, ძველად ელვის ჰანგებით
ჩვენი ცხენები დაჯახებულა,
დღეს მივახალოთ ჩვენი ჩანგები...
მხარე სალექსედ გაჩაღებულა.

როგორც ნავთი გვაქვს ჩვენის სარწყავი,
როგორც ქვეყანა სავსე თაველით—,
ავივსნეთ სიტყვით, — ვით ბრწყინავს ხავით
შირვანისა და მუღანის ველი.

ჩვენში სიმღერა სდულს ჩანჩქერებად,
სხვაგან სიმღერას ჰყიდიან გროშად.
სიმღერა, მხოლოდ იქ იმღერება,
სადაც ფრიალებს სტალინის დროშა!

ვიმღეროთ ძმებო შრომის მშვენება,
ქვეყნის სიმდიდრე და [illegible],
ვიმღეროთ ძველის გადაშენება,
ვიმღეროთ ჩვენი თავდახსნილობა.

და უკანასკნელ სიტყვის ღერომდე
გამარჯვებული კლასის მიზანი
ვიმღეროთ... ჩვენში ტკბილად ჰმღეროდნენ:
დიდი რუსთაველი, დიდი ნიზამი..

გიორგი ლეონიძე.

ინგლის-გერმანიის საზღვაო მოლაპარაკება

ლონდონი, 14 ივნისი. ინგლის-გერმანიის საზღვაო მოლაპარაკების დროს განხილულ ძირითად საკითხებზე, როგორც სჩანს მიღწეულია შეთანხმება. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური მიმომხილველი დაწვრილებით გადმოგვცემს ინგლის-გერმანიის შეთანხმების პირობებს. როგორც ჩანს, სწერს მიმომხილველი, უნდა მოველოდეთ ორმხრივი შეთანხმების დადებას ამ ორ სახელმწიფოს შორის.

„დეილი ტელეგრაფის" საზღვაო მიმომხილველი სწერს, რომ ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმების ერთერთი მნიშვნელოვანი შედეგი იქნება საიდუმლო საზღვაო მშენებლობის შესაძლებლობის მოსპობა. წინასწარ, სწერს მიმომხილველი, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ორივე სახელმწიფო უნდა აწვდიდეს ერთმანეთს ინფორმაციას ახალი გემების აგების შესახებ. ახალი სამხედრო გემის აგების დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა გერმანია და ინგლისი ვალდებული არიან აცნობონ ერთმანეთს გემის მშენებლობის დაწყების თარიღი, გემის ტიპი, ტონაჟი, ზარბაზნების ოდენობა და ყალიბი.

„ტაიმსი" მოწინავე სტატიაში წერს:

„საზღვაო შეთანხმება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს. შემდეგი ნაბიჯი უნდა იქნეს საჰაერო ლოკარნოს დადება". თუმცა, განაგრძობს გაზეთი, შეთანხმება, რომელზედაც ლაპარაკია, რამდენადმე უგულებელყოფს ვერსალის ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულებაში არის ისეთი პუნქტებიც, რომლებიც „უმჯობესი იქნებოდა დაგვევიწყნა". ვერსალის ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც წარმოუდგენელი იყო, როგორც მუდმივი, და რომელთა შეცვლა შეუძლებელი იყო საერთო შეთანხმების გზით. „პირდაპირ უნდა გაგვეუქმებინა".

გერმანიასთან კარგი დამოკიდებულების დამყარების სურვილი, განაგრძობს „ტაიმსი", არ ნიშნავს ინგლისის მეგობრული ურთიერთობის გაუარესებას სხვა სახელმწიფოებთან.

„დეილი ტელეგრაფის" პარიზელი კორესპონდენტი სწერს, რომ საფრანგეთის ოფიციალური თვალსაზრისი გერმანიის მოთხოვნებზე საზღვაო შეიარაღების დარგში შეიძლება მოკლედ ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგ 5 პუნქტად:

1) გერმანიას არ უნდა მიეცეს უფლება აიგოს 400 ათას ტონიანი სამხედრო ფლოტი, რომლის აგებაც მას განზრახული აქვს დაახლოვებით ოთხი წლის განმავლობაში.

2) საბჭოთა ფლოტის მშენებლობა მომავალში გერმანიამ არ უნდა გამოიყენოს როგორც საბაბი თავისი საზღვაო შეიარაღების შემდგომი გადიდებისათვის.

3) ტონაჟის მხრივ გერმანიასთან გათანასწორებას საფრანგეთი ამჯობინებს სრულ თავისუფლებას საზღვაო შეიარაღების დარგში და მისთვის ვაშინგტონის ხელშეკრულებით დაწესებული კვოტა უკვე აღარ იქნება მისი მოთხოვნილებების შესაფერი.

4) საზღვაო შეიარაღების საკითხი არ უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ პრობლემას, არამედ უნდა იყვეს განიარაღების საერთო პრობლემის შემადგენელი ნაწილი იმ საფუძველზე, რომ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღება ურთიერთისაგან დამოკიდებულია.

5) საფრანგეთს სასურველად მიაჩნია დაიდოს საზღვაო ლოკარნო, რომლის საფუძველზე ევროპის მთავარი სახელმწიფოები იკისრებენ ვალდებულებას მიმართონ შეთანხმებულ საზღვაო ღონისძიებებს აგრესორის წინააღმდეგ. (ადს).

საფრანგეთი და ინგლის-გერმანიის საზღვაო მოლაპარაკება

პარიზი, 14 ივნისი. საფრანგეთის გაზეთები არ ფარავენ თავის უკმაყოფილებას ინგლის-გერმანიის საზღვაო მოლაპარაკების შინაარსის გამო.

„ტანი" მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ ინგლისელებმა გერმანიას მისცეს თანხმობა აიგოს ინგლისის ფლოტის ტონაჟის 35 პროცენტის მოცულობის ფლოტი იმ პირობით, რომ განისაზღვროს გერმანიის ახლად ასაგები გემების კატეგორიები. „მაგრამ ამ პირობითაც კი, — სწერს გაზეთი, — ლონდონის თანხმობა აღნიშნულ პრინციპზე ძალიან უცნაურად გვეჩვენება". გაზეთი შენიშნავს, რომ გერმანიის მოთხოვნების მიღება საზღვაო ფლოტის შესახებ მოასწავებს ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვების ბასეინში გერმანიის ფლოტის უპირატესობის აღიარებას ინგლისის ფლოტის წინაშე, რომელიც გაფანტულია მსოფლიოს ყველა ზღვაში. გაზეთის სიტყვით, საფრანგეთისთვის მეტად ძნელია დასთანხმდეს იმაზე, რომ გერმანიის ფლოტი უდრიდეს ინგლისის ფლოტის 35 პროცენტს. ეს ძნელია სწორედ იმიტომ, რომ გერმანიის ასეთი ფლოტი უზრუნველჰყოფს გერმანიის უპირატესობას საფრანგეთის ფლოტზე ჩრდილოეთის ზღვაში; მეორე მხრით, ასეთი ფორმულა გერმანიის ფლოტის ოდენობისა საშუალებას მისცემს გერმანიას თავისი საზღვაო შეიარაღება გაადიდოს ინგლისის ფლოტის გადიდებასთან შეფარდებით.

„საერთოდ კი, — ამბობს „ტანი", — შეიარაღების სხვადასხვა პრობლემის, გერმანიასთან სეპარატულად განხილვის მეთოდში არის მრავალი უხერხულობა".

„უშიშროების ორგანიზაციის მიზნით, შეიარაღების ოდენობის მოწესრიგების პრობლემა, — წერს შემდეგ გაზეთი, — განუყოფელია და, გარდა ამისა, ექვემდებარება ვერსალის ხელშეკრულების ერთხმად მიღებულ მუხლებს სახმელეთო საზღვაო და საჰაერო შეიარაღების შესახებ. საზღვაო შეიარაღების პრობლემისა და საჰაერო შეიარაღების დამატებითი კონვენციის ცალკე განხილვის ტენდენციამ შეიძლება ჩიხში მიგვიყვანოს" (ადს).

ფაბრიკების მასობრივი დახურვა შანხაიში

შანხაი, 13 ივნისი. მუნიციპალური საბჭოს სტატისტიკური ცნობებით, შანხაიში უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში დახურეს 34 ფაბრიკა და დაითხოვეს 20 ათასი მუშა (ადს).

მცირე ანტანტის საბჭოს მომავალი სესიის გამო

ვენა, 13 ივნისი. სამხრეთ-სლავიის დეპეშათა სააგენტო „ავალა" იუწყება იმ საკითხებს, რომლებსაც 20 ივნისს ბელგრადში განიხილავს მცირე ანტანტის მუდმივი საბჭოს სესია (ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი).

„სესიაზე განხილული იქნება, — იუწყება სააგენტო, — აქტუალური პოლიტიკური პრობლემები, განსაკუთრებით კი მცირე ანტანტის პოზიცია დუნაის პრობლემის მიმართ და მცირე ანტანტისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა. ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი გააკეთებს მოხსენებას საბჭოთა კავშირში მიზავრობისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან მოლაპარაკების შესახებ" (ადს).

—o—

საბჭოთა კავშირმა დასდო ხელშეკრულება
ვიტკოვიცკის ქარხნებთან

პრაგა, 14 ივნისი. ამ ცოტახნის წინათ ჩეხოსლოვაკიაში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება 5 წლიანი საობლიგაციო კრედიტის შესახებ. აღნიშნული შეთანხმების ანგარიშში სოიუზმოტიმპორტმა (ლითონების საიმპორტო საბჭოთა საზოგადოება) დასდო პირველი შეთანხმება ვიტკოვიცკის ქარხნებთან სარკინიგზო მასალების (წყვილთვლები, საორთქლმავლო მილები და სხვა მასალა) მსხვილი დაკვეთის შესახებ (27 მილიონი ჩეხური კრონის ღირებულებისა).

—o—

ქიმიური ქარხნის აფეთქება რეინსდორფში

ბერლინი, 13 ივნისი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ დღეს დაახლოებით 3 საათზე (მოსკოვის დროით 5 საათზე) „ვესტფალიშ ანჰალტიშე შპრენგშტოფფაბრიკის" ასაფეთქებელ ნივთიერებათა ქარხანაში (რეინსდორფი, ვიტენბურგის მახლობლად) მოხდა ძლიერი აფეთქება, რის შემდეგ დაიწყო ხანძარი, რომლის დროსაც აფეთქება გრძელდებოდა. ხანძრისა და აფეთქებათა გამო მაშველ სამუშაოთა დაწყება შესაძლებელი გახდა დაახლოებით მხოლოდ საღამოს 10 საათზე (მოსკოვის დროით).

არსებული არაოფიციალური ცნობებით, მოკლულია ასამდე მუშა და დაჭრილია ორასამდე. ოფიციალურ ცნობაში ხაზგასმულია, რომ კატასტროფის ზუსტი ოდენობა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. (ადს).

აფეთქების მიზეზები

ბერლინი, 14 ივნისი. („პრავდის" ბერლინელი კორესპონდენტისაგან). ოფიციალური ვერსიის თანახმად, რეინსდორფის სამხედრო ქიმიურ ქარხანაში აფეთქება გამოუწვევია საუტილიზაციო ქარხანაში გაჩენილ ხანძარს. ცეცხლის დაუყოვნებლივ ჩაქრობა ვერ მოხერხდა და იგი მოედო მეზობელ საამქროებს, სადაც ამზადებენ ამაფეთქებელ და ანთებად ნივთიერებებს. გაზების აფეთქების გამო ცეცხლი გაუჩნდა ქარხნის კორპუსის ნაწილს.

დამატებითი ცნობებით, რეინსდორფის სამხედრო ქიმიურ ქარხანაში აფეთქება მომხდარა იმ დროს, როცა აწარმოებდნენ ახალი ყუმბარის გამოცდას; ამ ყუმბარის ზედა რქველი ალუმინისაა. ყუმბარა შეიცავდა ასაფეთქებელი გაზების ახალ ნარევს. აფეთქება მოხდა იმ მომენტში, როცა საცდელი ყუმბარა ხელში ეჭირა ინჟინერს; აფეთქებას მოჰყვა ხანძარი საამქროში. (ადს).

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების, სავაჭრო ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტების რატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლა.

სურათზე: გაცვლა-გამოცვლის ოქმის ხელმოწერის მომენტი. მარცხნიდან მარჯვნით: ბ-ნი ედუარდ ბენეში და ლიტვინოვი.

დ-რი ბენეში ხარკოვში

ხარკოვი, 14 ივნისი. დღეს ჩქარი მატარებლით მოსკოვიდან ხარკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დ-რი ბენეში თავის მეუღლით. დღისით მინისტრმა და მისმა თანმხლებელმა პირებმა დაათვალიერეს ქალაქი, შემდეგ გაიცნენ სატრაქტორო ქარხნის და ორთქლმავალმშენებელი ქარხნის მუშაობას. სტუმრები იყვნენ აგრეთვე ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში, სადაც მოისმინეს ოპერა „კარმენ". მთავრობის ლოჟაში მინისტრის გამოჩენას საზოგადოება მხურვალე ტაშით შეჰხვდა.

საღამოს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გეკერმა დრ ბენეშის პატივსაცემად სადილი გამართა.

საღამოს მატარებლით მინისტრი და მისი თანმხლებელი პირები კიევს გაემგზავრნენ (ადს).

დ-რი ბენეში კიევში

კიევი, 15 ივნისი. დღეს ხარკოვიდან კიევში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ედუარდ ბენეში თავისი მეუღლით. მინისტრთან ერთად ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ. ბოგდან პავლუ თავისი მეუღლით, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ბ-ნი კუჩერა, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში ამხ. ს. ს. ალექსანდროვსკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. მ. ბარკოვი, მინისტრის მდივანი ბ-ნი გლავაჩეკი და ჩეხოსლოვაკიის მოსკოველი მისიის მდივანი ბ-ნი მელხი.

დღეს დოქტორი ბენეში ბნ პავლუს და ამხ. ალექსანდროვსკის თანხლებით ეწვია უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. პ. პ. ლიუბჩენკოს. დარბაზობას დაესწრო უკრაინის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ზატონსკი. (ადს).

საგაზაფხულო კულტურების თესვა საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 14 ივნისი. 10 ივნისისათვის საბჭოთა კავშირში დათესილია 91.219 ათასი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურა (გეგმის 100,4 პროცენტი). კოლმეურნეობებმა თესვის სახელმწიფო გეგმას გადააჭარბეს 6,1 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობებს დასათესი დარჩათ საგაზაფხულო კულტურების (საგვიანო კულტურების) ფართობის 2,5 პროცენტი. ერთპიროვნულ სექტორში გეგმა შესრულებულია 68.8 პროცენტით.

თესვა გრძელდება (ადს).

ებრაელთა კოლმეურნეობების რესპუბლიკური თათბირი

გუშინ, საღამოს 8 საათზე, საქ. მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საზოგადოების შენობაში გაიხსნა საქართველოს ებრაელთა კოლმეურნეობების თავმჯდომარეების და დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი გახსნა საქ. მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საზოგადოების თავმჯდომარე ამხ რ. ელიგულაშვილმა.

დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: მიმდინარე წლის თესვის შედეგები, კოლმეურნეობებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ და მზადება მოსავლის აღებისათვის.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებანი ადგილებიდან.

მიმდინარე წლის თესვის კამპანიის შედეგებისა და მოსავლის აღებისათვის მზადყოფნის შესახებ გუშინდელ სხდომაზე მოხსენება გააკეთეს სუჯუნის (აბაშის რაიონი), ახალციხის ამხ. სტალინის სახ. ქობულეთის „აჰარმემსის" სახ., საჩხერის, ონის და ბანძის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ ამხ. სტალინის მითითებათა ცხოვრებაში გატარებით და რაიონის პარტორგანიზაციების მტკიცე ხელმძღვანელობით ებრაელი კოლმეურნეები შეძლებულები ხდებიან.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს დილით.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საგადასახადო პოლიტიკის შემოწმების შესახებ

საქართველოს კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ახლახან განიხილა გადასახადთა აკრების საკითხი და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შეუსრულებელი დარჩა როგორც სახელმწიფო შემოსავლის, ისე მასობრივი გადასახადების გეგმა. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან: ხონის, საგარეჯოს და ამბროლაურის რაიონები.

ცენტრალური კომიტეტის გამოკვლევით — საგადასახადო პოლიტიკის გატარების დროს ხონის, გორის, თელავის, საგარეჯოს და სხვა რაიონებში დაუშვიათ უხეში შეცდომები და დამახინჯებები: დასაბეგრი ობიექტები სრულად არ აღურიცხავთ არც კერძო, არც განსაზოგადოებულ სექტორში; ხშირია გადამხდელთა როგორც უკმარისად დაბეგვრის, ისე ზედმეტად დაბეგვრის შემთხვევა; სოფ. საბჭოებში საჩივრების განხილვას ხშირად უყურადღებოდ და ბიუროკრატიულად ეკიდებიან; ახალქალაქის, გორის და გურჯაანის რაიონებში აღმოჩენილია საშუალო მეურნეობების ინდივიდუალური წესით დაბეგვრის შემთხვევები; ბევრგან კოლმეურნეთათვის, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა, წითელარმიელთა, ინვალიდთა და პენსიონერთათვის არ მიუციათ კანონით დაწესებული შეღავათები (საგარეჯოს და ხონის რაიონები); აღმოჩენილია საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის და საკავშირო საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები—ბრუნვაზე გადასახადისაგან განთავისუფლება, დაბეგვრის ნორმების თვითნებურად შემცირება და სხვა.

გეგმის უკმარისად შესრულებისა და ზემონაჩვენების დამახინჯებათა ძირითად მიზეზებად ცენტრალური კომიტეტი ასახელებს იმას, რომ მთელი რიგი რაიონული ორგანიზაციები და სასოფლო საბჭოები საგადასახადო პოლიტიკის გატარებას კამპანიურ ხასიათს აძლევენ; საგადასახადო პოლიტიკის ცალკეულ დარღვევათა და დამახინჯებათა წინააღმდეგ საქართველოს ფინსახკომი დროზე არ ღებულობდა ზომებს; ძირეული ქსელის ფინმომუშავეებს არ უწევდნენ ყოველდღიურ, ცოცხალ ინსტრუქტაჟს; ზოგი რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს დასჩლუნგებიათ დაშვებულ დამახინჯებათათვის პასუხისმგებლობის შეგნება; რაიონული ფინორგანოები და განსაკუთრებით მათი ძირეული რგოლები არ არიან დაკომპლექტებული კვალიფიციური და მუშაობის უნარმქონე კადრებით. არაბეჯით და ბოროტ გადამხდელთა მიმართ სუსტად არის გამოყენებული კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომები.

ყველა ამის გამო ცენტრალურ კომიტეტის ბიურომ დაადგინა: წინადადება მიეცეს ყველა საოლქო და საქალაქო კომიტეტებს, აგრეთვე საქალაქო საბჭოებს და რაიაღმასკომებს, აღმოფხვრან კამპანიურობა ფულადი სახსრების მობილიზაციაში და ეს საქმე ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის საგნად გადააქციონ. ფართოდ გაშალონ მასობრივ-განმარტებითი მუშაობა საგადასახადო საკითხების გარშემო; ძირეული პარტორგანიზაციების და სოფ. საბჭოების ყურადღების ცენტრში დააყენონ ბრძოლა ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმების შესრულებისათვის, მოაწყონ გადასახადის გადამხდელთა საჩივრების სწრაფი განხილვა დაშვებულ დარღვევათა და დამახინჯებათა შესახებ და ამ საჩივრების გამო ფინორგანოების, სასოფლო საბჭოების და რაიონული ორგანიზაციების მიერ დროული და ოპერატიული ზომების მიღება.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა გააძლიეროს თავისი ძირეული ქსელი და ამ მიზნით რაიონში გაჰგზავნოს არანაკლებ 30 კაცისა იმ ამხანაგებიდან, რომლებსაც წელს დაუმთავრებიათ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის საფინანსო განყოფილება და საქ. ფინსახკომის უმაღლესი საფინანსო სკოლა; რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა გადასინჯონ ფინმომუშავეთა შემადგენლობა სოფ. საბჭოებში და გაამაგრონ აპარატი უნარიანი, შემოწმებული კადრებით. საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა მოაწყოს ამ მუშაკების სისტემატური ინსტრუქტაჟი.

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალა მოაწყოს ძირეული ქსელის ფინმომუშავეთა მოსამზადებელი კურსები იმ ვარაუდით, რომ მიმდინარე წლის მესამე და მეოთხე კვარტალის განმავლობაში მოამზადოს არა ნაკლებ 100 კაცისა.

რაიაღმასკომების და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს მიეცათ გაფრთხილება, რომ სახელმწიფო შემოსავლიდან თანხების არაკანონიერი მოხმარა ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ, მიჩნეულ იქნება ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებათ და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემასთან ერთად ეს თანხები დაუკავდებათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ფულადი სახსრების მობილიზაციის ჩაშლისა და საგადასახადო პოლიტიკის დამახინჯებისათვის საგარეჯოს რაიფინგანის გამგე **ხანაძე** მიცემულია სამართალში, ხოლო რაიაღმასკომის თავმჯდომარე მთვრალაშვილს გამოეცხადა საყვედური.

ვინაიდან შემჩნეულია ადგილებზე საფინანსო კანონმდებლობის დარღვევა, საქართველოს სახკომსაბჭოს დაევალა ყოველთვიურად მოისმინოს საქართველოს ფინსახკომის მოხსენება და ყოველ ცალკე შემთხვევაში სასტიკ პასუხისგებაში მისცეს ის პირნი, რომელნიც შემჩნეულნი იქნებიან საგადასახადო პოლიტიკის და საფინანსო კანონმდებლობის დარღვევა-გამრუდებასა და ფულადი სახსრების მობილიზაციის ჩაშლაში.

ე. წულაძე

დიდი მეცნიერი

აკადემიკოს ლ. ვ. პისარჟევსკის იუბილე უკრაინაში

7 ივნისს უკრაინის საზოგადოებრიობამ დიდის ზეიმით აღნიშნა დნეპროპეტროვსკში — ფოლადისა და თუჯის ქალაქში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი სახელოვანი მეცნიერის აკად. ლ. ვ. პისარჟევსკის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავი. ეს იუბილე გადაიქცა — საბჭოთა მეცნიერების, საბჭოთა ქიმიის დიდ ზეიმად, ვინაიდან აკად. პისარჟევსკის სახელი, მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ცნობილია არა მარტო უკრაინაში, რუსეთში, საქართველოში და სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ ძლიერ შორს — საბჭოთა საზღვრების გარეთაც.

დნეპროპეტროვსკის ერთ-ერთ დიდ თეატრალურ შენობაში, რომლის ფასადსაც ამშვენებდა იუბილიარის უზარმაზარი პორტრეტი და ტრანსპარანტები მისალმებებით შეიკრიბნენ იუბილეს წინადღეს დამთავრებულ მე-12 საკავშირო ფიზიკო-ქიმიური კონფერენციის დელეგატები, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, დნეპროპეტროვსკის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების და ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები, დნეპროპეტროვსკის მრავალრიცხოვან უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკები.

აქ აკად. პისარჟევსკის მიერ გამოზრდილ სამეცნიერო მუშაკების რამდენიმე თაობის და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა გულთბილ სიტყვებს და მისალმებებში მკაფიოდ იქნა აღნიშნული იუბილიარის მიერ გავლილი სახელოვანი 40 წლის გზა, დახატული ჩვენი ქვეყნის ერთერთი უდიდესი რევოლუციონერ-მეცნიერის, მოაზროვნის, ახალი კადრების მოსიყვარულე აღმზრდელ-მასწავლებლის, შესანიშნავი ორგანიზატორის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწის და სოციალისტური მშენებლობის ენტუზიასტის სახე.

დ. ი. მენდელეევის ქიმიის საფუძვლების ზეგავლენით შეუდგა ახალგაზრდა პისარჟევსკი ქიმიის შესწავლას — ხელი აიღო სამედიცინო დარგში მუშაობის განზრახვაზე.

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში ნიჭიერმა ახალგაზრდამ მიიპყრო ჩვენი დიდი ქიმიკოსის პ. გ. მელიქიშვილის ყურადღება და უკანასკნელის სიკვდილამდე ყოფ. მოწაფესა და მის ყოფ. მასწავლებელს აკავშირებდა უგულითადესი მეგობრობა და ერთმანეთისადმი პატივისცემა.

ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტს პ. გ. მელიქიშვილმა სამეცნიერო მუშაობის დაწყების წინადადება მისცა და სულ ჩქარა დარწმუნდა, რომ თავის არჩევანში არ შესცდა. დიდი მეცნიერის და ადამიანის სახელოვანი მოწაფეც, ახლა უკვე ჭაღარა მოსილი, არაჩვეულებრივის სითბოთი იგონებს იმ ნდობას და მზრუნველობას, რომელიც მისდამი გამოიჩინა პეტრე მელიქიშვილმა, სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყების პირველ წლებში.

ლ. ვ. პისარჟევსკის პირველ მეცნიერულ შრომას წარმოადგენდა მეტეორიტის ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევა (1894 წ.)—საკითხი, რომელიც ასე დიდათ აინტერესებდა მის მასწავლებელს პ. მელიქიშვილს.

მაგრამ მთავარი მუშაობა, რომელიც ლ. ვ-მა ჩაატარა პ. მელიქიშვილთან და უკანასკნელის ხელმძღვანელობით, შეეხებოდა ზეჟანგების და ზემჟავების აგებულობისა და შემადგენლობის გამოკვლევას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დ. ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის განმტკიცებისათვის, რაც აღნიშნა თვით სისტემის გენიალურმა ავტორმა. 1899 წ. ეს შრომები ზეჟანგების და ზემჟავების დარგში მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაჯილდოებული იქნა პირველი რუსი მეცნიერის და ქიმიკოსის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის პრემიით. ეს იყო კლასიკური გამოკვლევები, რომლებშიც იმ დროს პირველად იქნა გამოყენებული ახალი ფიზიკო-ქიმიური მეთოდები. ამ გამოკვლევებმა სულ ჩქარა ახალგაზრდა მეცნიერს მოუპოვა სახელი არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც, უნდა აღინიშნოს, რომ ზეჟანგების ფართო სამრეწველო მოხმარება, უმთავრესად ამ შრომებზეა დამყარებული. ამ დროიდან დაწყებული ორმოცი წელია გრძელდება ლ. ვ. პისარჟევსკის ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა.

თუ ამ მეცნიერული მუშაობის ერთ-ერთ ციკლს წარმოადგენს ზეჟანგების და მათი თვისებების შესწავლა (მუშაობა ამ დარგში ამჟამადაც გრძელდება ახალი მიდგომით ლ. ვ—ს უახლოესი თანამშრომლების და მოწაფეების მონაწილეობით დნეპროპეტროვსკის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში და ჩვენში—მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ტფილისის ქიმიურ ინსტიტუტში), გამოკვლევების მეორე ციკლს შეადგენს შესწავლა გამხსნელის მოქმედებისა ქიმიური რეაქციების მიმდინარეობაზე, გამოკვლევა, დამყარებული ღრმა ექსპერიმენტალურ მასალებზე, რომლისთვისაც ლ. ვ—მ ქიმიის დოქტორის ხარისხი მიიღო და მესამე, ფართო ციკლი, რომელიც შეიცავს ზოგადი და ფიზიკური ქიმიის მრავალფეროვან და უმნიშვნელოვანეს დარგებს (კატალიზი, კინეტიკა, ფოტოქიმია, მაგნიტოქიმია, ლითონთა აქტიურობა და პასიურობა) შეიძლება გაერთიანებული იქნას ელექტრონული ქიმიის დარგში ფუნდამენტალური გამოკვლევების სახელწოდებით. ეს გამოკვლევები ნაყოფიერათ მიმდინარეობს, როგორც დნეპროპეტროვსკის ფიზიკო-ქიმიურ ინსტიტუტში, ისე ტფილისის ქიმიურ ინსტიტუტში — ორ ქიმიურ მეცნიერულ კერაში, რომლებიც ლ. ვ. დაუშრეტელი ენერგიით და მზრუნველობით არის შექმნილი.

ლ. ვ. პისარჟევსკი ეკუთვნის მეცნიერთა იმ მცირერიცხოვან კატეგორიას, რომლებიც თავისი შრომებიდან ეპოქას ქმნის, ეპოქას ქმნიან იმით, რომ ერთი მწყობრი თეორიის ფარგლებში აერთიანებენ თავის მრავალრიცხოვან გამოკვლევებს, ერთი სახელმძღვანელო იდეით მსჭვალავენ მას. ასეთი იყო თავის დროზე დ. ი. მენდელეევის „ქიმიის საფუძვლები", ასეთია ამჟამად აკად. პისარჟევსკისა და მისი უახლოესი თანამშრომლის პროფ. როზენბერგის „არაორგანული ქიმიის კურსი", აგებული ქიმიის ელექტრო-იონურ ინტერპრეტაციაზე. ლ. ვ. არის მოწამე უდიდესი აღმოჩენებისა მატერიის აღნაგობის დარგში, დაწყებული ბეკერელ-რინტგენის სხივების აღმოჩენით მისი სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყების პირველ წლებში (1895—96 წ.) და გათავებული ნეიტრონ-პოზიტრონის აღმოჩენით. ამ აღმოჩენებმა ერთხელ კიდევ უდაოთ დაადასტურეს დიალექტიკური მატერიალიზმის დებულება, რომ ბუნებაში ყველა ზღვრები პირობითია, მხოლოდ ჩვენი ცოდნის გარკვეული საფეხურის მაჩვენებელია და ჩვენი ცოდნა ბუნებისა გარკვეულ ეტაპზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ და ამოწურულად.

აკად. პისარჟევსკის და პროფ. როზენბერგის „არაორგანული ქიმიის კურსი" პირველად 1926 წელს გამოვიდა. წარსულ წელს გამოვიდა ამ წიგნის (გადამუშავებული და შევსებულის) მეოთხე გამოცემა*).

უდიდესი ღირსება ამ წიგნისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ისე მოხერხებულად არის შედგენილი, რომ ერთსა და იმავე დროს სახელმძღვანელოც არის და მეცნიერული შრომაც. ვინაიდან უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთათვის სავალდებულო ვრცელ მასალის გარდა შეიცავს მდიდარ მასალას თანამედროვე ქიმიის ღრმა ცოდნით შეიარაღებული პედაგოგიური პერსონალისა და მეცნიერ-მკვლევარებისათვის. ახალ საფუძველზე და მასალაზე აგებული აკად. ლ. პისარჟევსკისა და პროფ. მ. ა. როზენბერგის არაორგანული ქიმიის კურსი თანდათანობით იპყრობს აუდიტორიას, ქიმიკოს-პედაგოგების მასას და განუყოფელი ატომის საფუძველზე შედგენილ ძველ ცნობილ ქიმიურ სახელმძღვანელოთა ავტორებიც კი იძულებული არიან სათანადოთ გარდაქმნან თავიანთი კურსი. აკად. პისარჟევსკისა და პროფ. მ. ა. როზენბერგის „არაორგანული ქიმია" ჯერ-ჯერობით არის ერთად-ერთი საფუძვლიანი და სრული სახელმძღვანელო რუსულ ენაზე, დამყარებული მატერიის აღნაგობის დარგში გაკეთებულ ახალ აღმოჩენებზე.

აკად. პისარჟევსკი არის არა მარტო დიდი მეცნიერი მსოფლიო სახელით. ის არის აგრეთვე დიდი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და ორგანიზატორი. ის ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ მუშაობაში, ყოველთვის იყო მოწინავე სტუდენტობასთან და პროფესურასთან.

1911 წელს ლ. ვ. პისარჟევსკიმ რამდენიმე სხვა პროფესორთან ერთად დასტოვა კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ნიშნად პროტესტისა განათლების სამინისტროს პოლიტიკის წინააღმდეგ. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო აკად. ბეხტერევის მიერ „კაზიონური" სახელმწიფო უმაღლესი სკოლისათვის დასაპირისპირებლად შექმნილ ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტის მუშაობაში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლ. ვ. პისარჟევსკი უყოყმანოდ დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე და მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგიით და ენტუზიაზმით იღებდა და იღებს მონაწილეობას ახალი ცხოვრების მშენებლობაში. მისმა მაგალითმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა უკრაინის და კერძოთ დნეპროპეტროვსკის მოწინავე ინტელიგენციის განწყობილების გარდატეხაში და აქტიურად ჩაბმაში სოციალისტურ მშენებლობაში.

1930 წელს აკად. პისარჟევსკი შედის კომუნისტურ პარტიაში.

აკადემიკოს პისარჟევსკის სახელთან მჭიდროთ არის დაკავშირებული მთელ რიგ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ორგანიზაცია და მუშაობა.

1916 წ. მისი ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით ეკატერინოსლავში (ახლა — დნეპროპეტროვსკი) დაარსდა ქალთა უმაღლესი კურსები, რომელიც შემდეგში უნივერსიტეტათ იქნა გადაკეთებული, მისივე მონაწილეობით 1917 წ. დაარსდა ეკატერინოსლავის ებრაელთა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ სამთო ინსტიტუტს შეუერთდა.

1922 წ. აკად. პისარჟევსკის მიერ დნეპროპეტროვსკში დაარსებული ელექტრონული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი კათედრა ისე გაიზარდა, რომ ხუთი წლის შემდეგ უკრაინის ფიზიკო-ქიმიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტათ გადაკეთდა.

1929 წ. აკად. პისარჟევსკიმ პროფ. როზენბერგთან ერთად მტკიცე საძირკველი ჩაუყარა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ქიმიის დარგში საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით ტფილისში დაარსდა პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც აკად. პისარჟევსკის წინადადებით ეწოდა მისი მასწავლებლის პეტრე მელიქიშვილის სახელი. აკად. პისარჟევსკიმ და პროფ. როზენბერგმა პირველად შემოიღეს ელექტრო-იონური ქიმიის სწავლება საქართველოს ყოფ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ამ დროიდან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახალი ქიმიის სწავლებას ჩვენში. ამჟამად აკად. პისარჟევსკი ხელმძღვანელობს მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ტფ. ქიმიურ ინსტიტუტს, რომელმაც მისი მეთაურობით 1934 წ. 28 მეცნიერული შრომა მოამზადა დასაბეჭდათ.

აკად. პისარჟევსკის სიამაყით შეუძლია გადახედოს თავისი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის გზას, მის მიერ ჩატარებულ ნაყოფიერ მუშაობას, რომლის უმეტესი ნაწილი ეკუთვნის საბჭოთა ხელისუფლების წლებს, იამაყოს თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებით, რომლებიც მან გამოზარდა, მიმდევრებით, რომლებიც მის ქიმიურ სკოლას ჰქავს და, რომლებიც სხვადასხვა ადგილას ანხორციელებენ თავისი მასწავლებლის იდეებს.

ბურჟუაზიული მეცნიერება დეგრადაციას განიცდის. ეკონომიური კრიზისის მსახრავი ხელი მასაც მწვავედ შეეხო. გამოჩენილი მეცნიერები არა თუ მოკლებულნი არიან ნაყოფიერი კვლევითი მუშაობის შესაძლებლობას, არამედ სიმშილობენ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ფაშისტურ გერმანიიდან კომბლებით გამორეკეს მრავალი მეცნიერი მსოფლიო სახელით. მხოლოდ საბჭოთა კავშირშია შექმნილი ყოველმხრივ ხელის შემწყობი პირობები ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის ცხოვრების ყველა დარგში, კერძოთ მეცნიერების დარგში, ვინაიდან ჩვენი სამშობლოს მუშათა კლასმა ძალაუფლება დაიპყრო მეცნიერული სოციალიზმის დროშით, ვინაიდან ახალ ცხოვრებას სტალინის მეთაურობით ის აშენებს მეცნიერულ საფუძვლებზე.

პარტიამ და ხელისუფლებამ, მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ ღირსეულად დააფასა აკად. პისარჟევსკის დიდი ღვაწლი და დამსახურება, როცა ხალხით გაჭედილ დარბაზში ტრიბუნიდან იუბილიარს ესალმებოდნენ მისი მოწაფეები და თანამებრძოლები, წარმომადგენლები იმ მრავალრიცხოვანი სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების, რომლებიც აკად. პისარჟევსკის მონაწილეობით დაარსდა ან სადაც მას უმუშავნია, ესალმებოდნენ პარტიის და ხელისუფლების, ფაბრიკა-ქარხნების, კომკავშირის, პიონერების და ოქტომბრელთა წარმომადგენლები. — ეს იყო კიდევ ერთი ილუსტრაცია იმის, თუ როგორი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობენ ჩვენში მეცნიერება და მეცნიერები: როცა საზეიმო სხდომის თავმჯდომარემ წაიკითხა საკავშირო ცაკის დადგენილება იუბილიარის დაჯილდოების შესახებ ლენინის ორდენით, წაიკითხა უკრაინის მთავრობის დადგენილება იუბილიარის დაჯილდოების შესახებ პერსონალური ავტომანქანით და უკრაინის ფიზიკო-ქიმიური ინსტიტუტისათვის აკად. პისარჟევსკის სახელის მიკუთვნების შესახებ, წაიკითხა ადგილობრივი ორგანიზაციების დადგენილება პისარჟევსკის სახელის მინიჭების შესახებ იმ ქუჩისათვის, სადაც იუბილიარი ცხოვრობს და მისთვის ცალკე სახლის აგებისათვის — ყველაფერი ეს კიდევ ერთი ზედმეტი საბუთი იყო იმ მზრუნველობის, რომელსაც ჩვენი პარტია და ხელისუფლება იჩენს მეცნიერებისა და მეცნიერთადმი, იმისი, თუ როგორი დიდათ ფასდება ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში მეცნიერება.

დნეპროპეტროვსკი.
10 ივნისი.

---

*) ამჟამად მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალი ამზადებს დასაბეჭდად ამ წიგნის ახალ გამოცემას.

პარტიულ თემაზე

ზოგი რამ კომუნისტურ მორალზე

რა შეშვენის კომუნისტს და რა არა? რა არის ზნეობრივი და რა უზნეო? რათქმა უნდა, კომუნისტური მორალის მზა რეცეპტის, მზა კოდექსის მოცემა შეუძლებელია. ასეთი კოდექსი ბუნებაში არც შეიძლება არსებობდეს.

მაგრამ ბოლშევიკური პარტია, მსოფლიოს რომელიმე სხვა პარტიაზე უფრო მეტად, მკაცრია თავისი წევრების მიმართ, დისციპლინიანია, გამობრძმედილია, რომელიმე სხვა პარტიაზე უფრო ერთგულია თავისი იდეალებისა.

მას მორალის კოდექსი არა აქვს, მაგრამ მას აქვს მორალის, ზნეობის კლასიკური ლენინური განსაზღვრა: „ჩვენი ზნეობა გამომდინარეობს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან... ზნეობა — ეს არის ის, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და პროლეტარიატის გარშემო ყველა მშრომელის გაერთიანებას“...

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში შემჩნეულია კომუნისტური გამობრძმედილობისათვის, ზნეობისათვის ბრძოლის შესუსტება. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. სულ ამ ცოტა ხნის წინათ „პრავდა“ იტყობინებოდა ბანკეტებით გატაცებას ტამბოვში: იქ ბანკეტებს — არსებითად უვირახნილ ლოთობას — მართავდა ყოველგვარი საბაბით და უსაბაბოდაც; ზოგიერთ ასეთ „ბანკეტს“ ტამბოვის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი ესწრებოდა. ცხადია, ტამბოვისებური ბანკეტები ვერასგზით ვერ თავსდება კომუნისტური მორალის ჩარჩოებში. კიდევ შეგვიძლია მოვიყვანოთ კომუნისტური ეთიკის აბუჩად აგდების მაგალითად ის „კულტურული გამოსვლა“, რომელიც დნეპროპეტროვსკის ნავთსადგურის პარტიულმა ორგანიზაციამ მოაწყო; ეს „გამოსვლა“ ლოთობით, ღრეობით და ჩხუბით დამთავრდა: ზოგიერთი კომუნისტი საჯაროდ სცემდა თავის ცოლს. და, ბოლოს, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ პარტიის მარიუპოლის ოლქკომის ხელმძღვანელობა, რომელიც ახლა სამუშაოდან მოხსნილი და პარტიიდან გარიცხულია; ეს ხელმძღვანელობა იქამდეც კი მივიდა, რომ დანაშაულსაც ჩადიოდა: იგი სამეურნეო ორგანიზაციებს თავისი პირადი საჭიროებებისათვის ფულს სტყუებდა და ამგვარად მრავალი ათეული ათასი მანეთი გამოსტყუა.

ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ კულტურული და შეძლებული ცხოვრება შევუქმნათ ყველა მშრომელს, მათ შორის კომუნისტებსაც. მაგრამ პარტია გადაჭრით უსწორდება იმ „კომუნისტებს“, რომლებიც ცდილობენ სახელმწიფოს ხარჯზე გამდიდრდნენ. ჩვენ გვახსოვს ამხანაგ სტალინის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ „კომუნისტი სახელმწიფოს კანონებს და სხვა ასეთ რამეებს ზოგჯერ შინაურ საქმედ სთვლის, სწორედ ამიტომ ზოგიერთ კომუნისტს დიდ შრომად არ უღირს გადაახტეს, ღორის მსგავსად (ბოდიშს ვიხდი ამხანაგებო, ამ სიტყვისათვის) სახელმწიფოს ბოსტანს და იქ რაიმე შეთქვლიფოს, ან დაგვანახოს თავისი ხელგაშლილობა სახელმწიფოს ხარჯზე“.

და აი, ჩვენში ვხვდებით ასეთი ჯურის „კომუნისტებს“, ამორალურ სუბიექტებს, რომელნიც სახელმწიფო დოვლათს უყურებენ როგორც საკუთარ დოვლათს. ვხვდებით ქურდებს და ბედოვლათებს. ასინი ჩვეულებრივ მოკალათებული არიან „ბარაქიანი ადგილების“ მახლობლად, სადაც მეტის შესანსვლა შეიძლება. მათ გარშემო ჩვეულებრივ თავს იყრის გარეწართა, სხვადასხვა ბნელ პირთა მთელი ხროვა, რომელნიც სარგებლობენ თავის „უფროსთა“ ხელგაშლილობით, რომელნიც ლორივით სახელმწიფო ბოსტანში მოკალათებულან და „მოწყალებას“ არიგებენ.

ცალკე დგას ოჯახის საკითხები. საბჭოთა ოჯახის განმტკიცებისათვის, სოციალიზმის მშენებელთა ჯანსაღი თაობის აღზრდისათვის ზრუნვა კომუნისტის პირდაპირი მოვალეობაა. ამავე დროს კი ჩვენში ხშირად ლიბერალობას იჩენენ იმ კომუნისტების მიმართ, რომლებიც ოჯახს სტოვებენ და ალიმენტების გადახდას გაურბიან. რატომღაც „უხერხულად“ მიაჩნიათ ჩაერიონ ასეთი „კომუნისტის“ პირად ცხოვრებაში და დასაჯონ იგი პარტიული წესით. რატომ? ასეთი კომუნისტი სხვა არა არის რა, თუ არ გარყვნილი წვრილი ბურჟუა.

რელიგიას ჯერ კიდევ მაგარ კლანჭებში ჰყავს მშრომელთა ზოგიერთი ფენა, განსაკუთრებით სოფლად. ვხვდებით პარტიის წევრებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ საფუძვლიანად ვერ გამოსთხოვებიან ამ ველურ ცრურწმენას. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი შემთხვევა: კომუნისტ აქსენოვს ნათესავი მოუკვდა. აქსენოვის ცოლი ხუცესთან წავიდა, რათა პანაშვიდი გადაეხადა. ხუცესმა უარი თქვა წასულიყო კომუნისტის ოჯახში მის ნებადაურთველად. მალე ხუცესს მაგიდაზე ედო აქსენოვის ბარათი: „მამაო, გთხოვთ გადაიხადოთ პანაშვიდი“. მორწმუნე კომუნისტი აქსენოვი გამონაკლისი არ არის. იმ რაიონში, სადაურიც ის არის, (სოსნოვსკის რაიონი, გორკის მხარე) მისი მსგავსი მრავალია. ამ რაიონის ერთერთი პარტიული ორგანიზაცია შეეცადა პასუხისგებაში მიეცა კომუნისტი იმისათვის, რომ მან ახალდაბადებული ეკლესიაში მონათლა, მაგრამ პარტიული ორგანიზაციის ამ ინიციატივას არც ერთმა კომუნისტმა არ დაუჭირა მხარი, რადგან, როგორც გამოირკვა, ყოველი მათგანი ამა თუ იმ სახით ასრულებს რელიგიურ წესებს.

„რელიგია და სოციალიზმი შეუთავსებელია“, — ამბობს ლენინი. მორწმუნე კომუნისტი — კომუნისტი არ არის. ასეთი კომუნისტების არსებობა მოწმობს აღმზრდელობითი მუშაობის დავიწყებას პარტიული ორგანიზაციების მიერ, ანტირელიგიური პროპაგანდის სისუსტეს, იმ ვნების შეუფასებლობას, რომელიც რელიგიას მოაქვს.

„კადრები ყველაფერს სწყვეტენ“ მეურნეობაშიც, პარტიულ მუშაობაშიც. პარტია მოითხოვს ულევს ზრუნვას ადამიანებისათვის, კადრებისათვის. აღზარდო, გამოზარდო კომუნისტები — ეს ნიშნავს დაინტერესდე არა მარტო მათი საწარმოო და პარტიული მუშაობით, არამედ ღრმად ჩასწვდე მათს ყოველდღიურ ცხოვრებასაც.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენში ზოგჯერ ზედმეტად გატაცებული არიან „აღზრდით“ და, გუვერნანტი ქალის მსგავსად სწერენ იდიოტურ „ზრდილობის წესებს“. ერთმა რკინიგზის პარტიულმა ორგანიზაციამ (უსურიის გზა) კომუნისტს სასტიკი საყვედური გამოუცხადა იმისათვის, რომ იგი დაესწრო ამხანაგ კომკავშირელის სამოქალაქო ქორწილს (რომელმაც სავსებით უწყინარად და რიგიანად ჩაიარა).

კომუნისტის იდეური შეიარაღებისათვის, მორალური სიმტკიცისათვის სისტემატურად უნდა ვიბრძოლოთ. ის არ არის კომუნისტი, ვისთვისაც უცხოა თავაზიანობა, ვინც თავშეუკავებელ, ამორალურ ცხოვრებას მისდევს. ვინც თავის პირად ინტერესებს სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებს. კომუნისტის მთელი პირადი ცხოვრება სასტიკად უნდა იყოს შეხამებული პარტიის მორალურ პრინციპებთან და იდეებთან.

(„პრავდა“).

პარკის დამზადება

ბრძოლა პირველობისათვის მეაბრეშუმეობაში

(ხონი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ხონის მიმღებ პუნქტში აბრეშუმის პარკის ჩაბარება მასობრივად 10 ივნისიდან დაიწყო. რაიონის დანარჩენი 3 პუნქტი კი მეორე დღეს შეუდგა პარკით დატვირთული ურმების მიღებას.

წელს აქ უნდა დამზადდეს 147.250 კილოგრამი პარკი — ასეთია ხონის რაიონის საბრძოლო დავალება. მიღებული პარკის რაოდენობის პირველი დღეების მაჩვენებლები იძლევიან იმის გარანტიას, რომ რაიონი გეგმას წარმატებით შეასრულებს.

ბაბილინა ჩიქოვანი, ფეოდოსია ქვიცირიძე, ვერა წივწივაძე, მელიტონ მესხი, ვასო გოფაძე, პელაგია სონაძე, გიორგი ჭანტურია, კოსტა წივწივაძე, ვანო ეძგვერაძე — აი ხონის მესამე, მეოთხე უბნების და სოფ. ნახახულევის წარჩინებული მეაბრეშუმეები, რომლებიც ამშვენებენ ხონის მიმღები პუნქტის წითელ დაფას.

კოლმეურნეობის წევრმა ბაბილინა ჩიქოვანმა (27 წლის მეაბრეშუმეა) ნახევარი კოლოფი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 43 კილო და 600 გრამი პარკი, გეგმა 270 პროცენტით შეასრულა. მისი პარკი პირველ ჯგუფში მიიღეს.

ბაბილინას შრომა სათანადოდ დაფასდა. მან მიიღო პარკის საფასური 306 მანეთი. გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებისათვის საქარხნო ფასებში მისცეს 99 მანეთის ღირებულების აბრეშუმის ქსოვილი. გარდა ამისა, მთავრობის ახალი დადგენილების საფუძველზე, ის მიიღებს 60 მანეთამდე პრემია-წანამატს.

ქიის საუკეთესო მოვლისა და კვების შედეგია, რომ წითელ დაფაზე შეტანილმა ფეოდოსია ქვიცირიძემ, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 15,5 კილოგრამი პარკის ნაცვლად, პუნქტს ჩააბარა 41 კილო. ხონის მესამე უბნის მეაბრეშუმე პელაგია სონაძემ გეგმა 229 პროც. შეასრულა და ა. შ.

სოფ. ლანირ-ქვიტირსაც ჰყავს საუკეთესო მეაბრეშუმეები. ესენია: ვერა ბალავაძე, ელისაბედ მამფორია, ვერა, ოლღა და თამარა რუხაძეები. მათ მთელს სოფელში პირველებმა ჩააბარეს საუკეთესო ხარისხის პარკი და გეგმებიც საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს.

ხონის მიმღებ პუნქტში. სურათზე: მარცხნიდან—მარჯვნივ რაიაბრეშუმის უფ. აგრონომი დ. მელაძე და დამხარისხებელი ლ. მოსიაშვილი ამოწმებენ მეაბრეშუმე ალათია ლეთოდიანის მიერ მოტანილ პარკის ხარისხს.

□ □ □

ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ასეული მეაბრეშუმეები, რომლებმაც სარეკორდო მოსავალი მიიღეს, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ვთქვათ: ხონის რაიონი გასულ წლებთან შედარებით, წელს წარმატებით იბრძვის მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის.

მიუხედავად ყოველივე ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ხონის რაიონში ყველაფერი რიგზეა. ზოგიერთ სოფელში და ხონის ზოგიერთ უბანში არიან ცალკეული მეაბრეშუმეები, რომლებმაც უკანასკნელ ასაკში სათანადოდ ვერ მოუარეს ქიას, ამით დასცეს მისი ხარისხი.

მაგ., სოფ. ივანდიდის მეაბრეშუმე ელენე მაჭარაძემ პუნქტს ახვევა დაუმთავრებელი პარკი ჩააბარა. დაუმთავრებელი პარკი ჩააბარა ლიდა მაჭარაძემ, აგრეთვე ხონის მეოთხე უბნიდან — აგრაფინა ფაილოძემ, პელო ტყაბლაძემ და სერაპიონ მამარდაშვილმა. ამ უკანასკნელმა ქიას ნედლი ცახი დაუდო და მასთან პარკი ადრე გამოკრიფა.

ყოველივე ეს იმით აიხსნება, რომ უკანასკნელ დროს, როცა ქიამ ცახზე იწყო გასვლა, რაიაბრეშუმის ზოგიერთმა აგრონომმა, და სოფლის რწმუნებულმა შეასუსტეს მეაბრეშუმეებთან მისვლა და რჩევა - დარიგების მიცემა. მაგ., სოფ. ივანდიდის რწმუნებული ამხ. ნინა ფაილოძე თავის მეაბრეშუმეებთან კარგა ხანია არ ყოფილა. იგივე ითქმის ხონის მეოთხე უბნის რწმუნებულზეც.

★

რაიონში პარკის მიღებას მომზადებული შეხვდა ხონის პუნქტი. აქ საკმაო რაოდენობით არის სასწორები, ყავთ დამხარისხებლები, ქვითრის გამომწერები, მოანგარიშეები. პარკის მიღება და აწონვა დაუბრკოლებლივ წარმოებს.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პუნქტთან მოწყობილი აბრეშუმის ქსოვილის ორი წერტი მეაბრეშუმეებს დროზე ვერ ისტუმრებს. მათ დიდ ხანს უხდებათ რიგში მოცდა. სუსტია კოოპერაციის მომსახურება.

დანარჩენ პუნქტებში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. მაგ., ლანირ - ქვიტირის პუნქტს 12 ივნისისათვის არ ჰქონდა დაწყებული აბრეშუმის ქსოვილების გაცემა. რაიაბრეშუმის ბუხჰალტერმა გუბის პუნქტის მოანგარიშისა და ქვითრის გამომწერის ინსტრუქტაჟი მხოლოდ 12 ივნისს გაუკეთა; მათხოჯის პუნქტში ძრავის აუმუშავებლობის გამო მოსალოდნელია პარკის გაშრობის შეფერხება.

ყველა ამ ნაკლოვანებების დროულად გამოსწორება იქნება იმის საწინდარი, რომ ხონის რაიონი წლის ბოლომდე შეინარჩუნებს პირველობას მეაბრეშუმეობის სახელმწიფოებრივი გეგმის შესრულებაში.

ვ. მთვრალაშვილი.

მოწაფეთა ცოდნის შემოწმება

მოსკოვის სკოლების გამოცდილება

მოსკოვში ამ მაისიდან დაიწყო მოწაფეების ცოდნის, მასწავლებლის, როგორც მთავარი ფიგურის, დირექტორის და საერთოდ სკოლის მთელი მუშაობის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი შემოწმება. სკოლები კარგად მომზადებულნი და დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ შემოწმებითი გამოცდებს.

გამოცდებისათვის მზადება ჯერ კიდევ მარტიდან დაიწყო. რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატის დირექტივამ, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო გამოცდები სკოლებში,—სკოლებს აგრძნობინა უდიდესი შეღავათი, გაუადვილა, გაუმარტივა მუშაობის ეს დარგი.

ეს დირექტივა უკვე არა ჰგავს რამდენიმე წლის წინათ გამოცემულ დირექტივას, იგი არის პირდაპირი გზის მიმცემი, განთავისუფლებული ყოველგვარი „საერთოობისა“ და „ზოგადობისაგან“,—ლაპარაკობდა შაუმიანის რაიონის მე-28 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

აი, რა ძირითადი ხაზი მისცა მასობრივ სკოლებს განათლების კომისარიატის დირექტივამ გამოცდების შესახებ: ა) გამოცდები არის წლის განმავლობაში მოწაფეთა მიერ შეძენილი ჩვევების, ცოდნის და ხერხების აღრიცხვისა და დასკვნების გაკეთება; ბ) გამოცდები არ უნდა იქნას წარმოდგენილი ფორმალურად, იგი არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს მოწაფეთა ცოდნის შემოწმებაში; გ) გამოცდებმა უფრო მეტად უნდა გააღრმავოს, სისტემაში მოიყვანოს მოწაფის ცოდნა; დ) გაზარდოს მოწაფეთა პასუხისმგებლობა სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში; ე) გამოცდები არის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კონტროლი არა მარტო მოზარდი თაობის მიმართ, არამედ იმათ მიმართ, ვისაც საქმე აქვს კომუნისტური სწავლა-აღზრდის საკითხთან.

რამდენიმე სკოლის დათვალიერების შემდეგ ჩვენ მოგვიხდა მუშაობა შაუმიანის რაიონის მე-28 სკოლაში. გამოცდების პროცესით ჩვენს თვალწინ გაიშალა სრულიად ახალი სურათი, მდიდარი სკოლის მუშაობის ახალი ფორმებითა და შინაარსით.

შაუმიანის მე-28 სკოლა მასობრივი სკოლაა 52 კლასით, 2.300 მოწაფით. ამ მაისს გამოცდებისათვის ყველა მზად იყო. თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული გამოცდების ცხრილი, რაც ზოგან მეორეხარისხოვან საკითხად მიაჩნიათ. განმეორებითი მუშაობის ჩატარება ჩამორჩენილ მოწაფეთა შორის სკოლას დაუწყია ორი თვით ადრე. ზედმეტი მუშაობის ცხრილი ისე იყო მოწყობილი, რომ იგი ოდნავადაც არ ახდენდა გავლენას მოწაფის დროის რეჟიმზე—მის ჯანმრთელობაზე. გამოცდებამდე თვითეულ მასწავლებელს შემუშავებული ჰქონდა ე. წ. შემოწმების ბარათები ყველა საგანში. ბარათში მოცემულია რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომელიც შეიცავს პროგრამის ძირითად მომენტებს და ნამდვილად ამოწმებს მის შესრულებას. ეს ბარათები განიხილა და მოიწონა სარაიონო მეთოდურმა თათბირმა და დაადასტურა სკოლის დირექტორმა.

ამ სკოლაში არის 52 კლასი, მაშასადამე, მრავალია პარალელური, მაგრამ შემოწმების ბარათები პარალელური კლასებისათვის ერთი და იგივე როდია. ბარათების მეორე თავისებურება მდგომარეობს მოწაფეთადმი დიფერენცირებულ მიდგომაში. როგორ აქვთ შემუშავებული ცოდნის შემოწმების, უკეთ რომ ვთქვათ, შეფასების კრიტერიუმი—ეს საკითხი, რა თქმა უნდა, სპეციფიკურია და ყველას ამ დრომდე თავისებურად ესმოდა. მოსკოვის სკოლებმა ცოდნის შეფასების კრიტერიუმი სანიმუშოდ მოგვცეს. ავიღოთ მაგალითად კარნახი, სადაც მოცემულია ასი სიტყვა. მე-5 კლასის მოწაფე: უშეცდომო—„ძალიან კარგი“, 2 შეცდომა—„კარგი“, 6 შეცდომა—დამაკმაყოფილებელი. მე-6 კლასი: უშეცდომო—„ძალიან კარგი“, 2 სტილისტური და 2 გრამატიკული—„კარგი“ და ა. შ.

ამ მაისს სკოლა სავსებით მომზადებული შეხვდა გამოცდებს. პირველი ზარი... 2.300 მოწაფე სრულიად დამშვიდებით ეწყობა რიგებში და მიდის თავიანთ კლასებში, დარწმუნებულნი, რომ ადგილი არ ექნება ძველებურ გამოცდებს—„ეგზამენებს“, დაბნეული კითხვების მიცემას მასწავლებლის მიერ. ცხრილის მიხედვით იწყება შემოწმება. კლასი ორ ნაწილად არის გაყოფილი. კოლექტივი და ინდივიდი—აი რა ნიშნის ქვეშ ტარდება შემოწმება. თითეულ კლასში ერთი ან ორი გარეშე პირი ესწრება, რაიონის განათ. განყოფილების წარმომადგენელი და სხვ. ისინი გამოცდებში აქტიურად არ მონაწილეობენ. მასწავლებელი ძირითადი ფიგურაა. მოწაფეების ყურადღება აღარ იფანტება დამსწრეებისაკენ—იციან, რომ წარმომადგენლები არ ჩაერევიან მასწავლებლების მუშაობაში. სკოლას პირველ დღეს ესტუმრა სახალხო განათლების კომისრის მოადგილე ამხ. ეპშტეინი. მასწავლებლების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

გამოცდების დროს მასწავლებლების მიდგომა მოწაფეთადმი განსაკუთრებულია. მასწავლებელი თვითეულ მოწაფეს ჰკითხავს მთელი წლის მუშაობის მიხედვით ბარათებსაც ასევე აძლევს. როცა უსმენ მოწაფეების პასუხს, გრძნობ, რომ მოწაფეობას დაუფლებული აქვს მეცნიერების საფუძვლები მოცემული პროგრამის ფარგლებში. ეს უკვე აღარ გავს იმ ზოგადი ხასიათის გამოცდებს, სამი წლის წინათ რომ იყო. დღის ბოლოს თვითეული მასწავლებელი იძლევა პატარა კლასის ცოდნის შედეგების შესახებ—ეს ნაწილობრივი ცნობები ჩატარებული მუშაობის მიხედვით ძალზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ნ. მიქავაბიშვილი
ზ. კიკნაძე

საქართველოს ცაკში

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ცაკთან დაარსდა მშრომელ ებრაელების მიწათმომწყობი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: რ. ელიგულაშვილი (თავმჯდომარე), თ. კვირიკაძე (საქ. ცაკი), კაკიტელაშვილი (პ.-მგ. მდივანი) გოლეთიანი (სახ. ბანკი), ნაფეტვარიძე (საქ. სოც. მიწადმომქმ. ბანკი), კაციტაძე (მიწსახკომი), ხუციშვილი (საქ. საგეგმო კომისია).

განმარტება

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა

სას.-სამ. არტელის სანიმუშო წესდების მესამე კარის მე-4 მუხლის შესახებ

სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ სას.-სამ. არტელის სანიმუშო წესდების მესამე კარის მე-4 მუხლის შესახებ ა.-წ. მაისის 8 და 27-ს მოცემულ მითითებებთან დაკავშირებით, საქართველოს მიწსახკომი განმარტავს:

1. სასყიდელი კოლმეურნეობის მუშა - საქონლით არტელის წევრების პირად მოთხოვნილებათა მომსახურებისათვის — ამ უკანასკნელთ გადახდებათ იმ შემთხვევაში, უკეთუ მუშა - საქონელი მათ მიეცათ ბაზარში წასასვლელად, სტუმრად გასამგზავრებლად და, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ მუშა - საქონელი გამოყენებულ იქნა საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო ნაკვეთის დასამუშავებლად.

2. დანარჩენ შემთხვევაში, როგორიც არის, მაგალითად: საავადმყოფოში გამგზავრება, ტყეში შეშის მოსატანად წასვლა, მარცვლის წისქვილში გადატანა, საკოლმეურნეო ბეღლებიდან და საწყობებიდან კოლმეურნის კარმიდამოში იმ პროდუქციის გადაზიდვა, რაც მას ერგება გამომუშავებულ შრომადღეებში და, აგრეთვე, იმ სას.-სამ. პროდუქტების (კარტოფილის, ხორცის, ზეთის. ბოსტნეულის და სხვ.) დამამზადებელ პუნქტებში გადაზიდვა, რასაც კოლმეურნე აბარებს სავალდებულო ჩაბარების წესით კონტრაქტაციის საფუძველზე, — ცხენი საზიდავით და ხარები ურმით კოლმეურნეს უსასყიდლოდ ეძლევა.

რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს — მუშა - საქონლით სარგებლობის ფულადი ანაზღაურების დროს იხელმძღვანელონ შემდეგი სანიმუშო ოდენობებით:

1. უღელ ხარში, ან კამეჩში ან და ცხენში 5 კილომეტრის მანძილზე და ნახევარი დღის ვადით — 1 მან. 50 კაპ.; 10 კილომეტრამდე და 1 დღის ვადით 3 მან., 20 კილომეტრამდე და მეტი მანძილით 2 დღის ვადით—6 მან.

2. დასავლეთ საქართველოს რაიონებში საკარმიდამო ნაკვეთის 0,10 ჰექტარის მოხვნისათვის დაფარცხვით — 1 მან. და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში—2 მანეთი. საკარმიდამო ვენახებისა და ციტრუსოვანი ნარგავების 0,10 ჰექტარის მწკრივებს შორის გადახვნისათვის — 1 მან. 50 კაპ.

უკეთუ მუშა - საქონლის დამქირავებელ კოლმეურნეს არ ექნება ნაღდი ფული, კოლმეურნეობის გამგეობას შეუძლია ადროვოს სასყიდლის გადახდა მოსავლის აღებამდე.

საქართველოს მიწათმოქმედების სახკომის მოადგილე—გვარამია.

ემზადებიან მომავალი სასწავლო წლისათვის

(სენაკის რაიონი, საკ. კორ.)

სენაკის რაიონმა 35-36 სასწავლო წლისათვის მზადება მარტიდანვე დაიწყო. გეგმის მიხედვით, მზადების პერიოდში სოფ. მენჯში უნდა აშენდეს ახალი შენობა არასრული საშუალო სკოლისათვის, სოფ. ზანაში, ეკში, ციხეთში (ხორშის თემი), ლეძაძამეში სრული საშუალო და არასრული საშუალო სკოლები. სასკოლო მშენებლობის ობიექტების მთლიანად დამთავრება სენაკის რაიონის სკოლებს მატებს 1.325 კვ. მეტრ. სასკოლო ფართობს. ასე, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მოსახერხებელი ხდება ორ ცვლად მეცადინეობის ლიკვიდაცია.

სასკოლო ინვენტარის დასამზადებლად ქ. სენაკში გახსნილია სახელოსნო, სადაც იმუშავებს 15-20 დურგალი მთელი ზაფხულის განმავლობაში, სახელოსნოს და სკოლების ადმინისტრაციებს შორის უკვე დადებულია ხელშეკრულება სასკოლო ინვენტარის დამზადებაზე. სახელოსნო უზრუნველყოფილია პირველხარისხოვანი ხეტყის მასალით ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის საშუალებით (მმართველი ამხ. მ. ხოფერია). სასწავლო წლისათვის სამზადისის საქმეს დიდად უწყობს ხელს რაიონის სამეურნეო ორგანიზაციების უმრავლესობა, მაგალითად: ადგილობრივი მრეწველობის ტრესტი, სენაკის მექანიკური ბაზა (დირექტორი ამხ. ვალ. ბერაია), ინვალიდთა კოოპერაცია და სხვ.

მიმდინარე წელს სასწავლო წლისათვის სამზადისში აქტიურად და დიდი ენტუზიაზმით ჩაება რაიონის მშრომელი მოსახლეობა. 20 დღის განმავლობაში სრული ნებაყოფლობის საფუძველზე სასკოლო მშენებლობის საჭიროებისათვის შეგროვილ იქნა 25-30 ათასი მანეთი. სოფ. მენჯში კოლმეურნეები 50 უღელი ხარკამეჩით გამოვიდნენ სკოლის მშენებლობაზე. ლეძაძამის თემში ყოველდღიურად ყოველ კოლმეურნეობას გამოყოფილი ჰყავს 5 უღელი ხარკამეჩი, ზანის, მხეფის, ძვ. სენაკის, უშაფათის მოსახლეობამ დროულად მოჰკიდა ხელი მზადების საქმეს; მშენებლობის ადგილზე მიზიდეს საშენი მასალა. ამ მხრივ ყველა სოფლის საბჭო როდი მუშაობს კარგად, მაგალითად, ზემო ქალადიდი და გეჯეთი, რომელთაც ჯერ არც კი შეუდგენიათ გეგმა, თუ რა უნდა გააკეთონ მზადების პერიოდში.

გრ. გეგენავა.

□ □ □ □ □ □ □

სტალინის სახ. ორთქმავლების სარემონტო ქარხანა. სურათზე: საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხ. ბერიას სიტყვის დამუშავება ჩამომსხმელ საამქროში. (კომორგი აგიტატორი ამხ. მამულაშვილი).

კომუნისტების გამარჯვება და საფრანგეთის პრესა

საფრანგეთის მუნიციპალურ არჩევნებში ამას წინად დიდი გამარჯვება მოიპოვეს კომუნისტებმა. საარჩევნო ბრძოლამ საკმაოდ მწვავე ხასიათი მიიღო. დაირაზმნენ პარტიები. პოლიტიკურად „მონათესავე“ ძალებმა გადაწყვიტეს ერთად გამოსვლა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.

მუნიციპალიტეტები, რასაკვირველია, არ წარმოადგენენ რაიმე „უცხო“ ორგანიზაციას ბურჟუაზიულ სახელმწიფო სისტემაში. პირიქით ისინი არიან ამ სისტემის ორგანოები. კომუნისტებს ხშირად აღუნიშნავთ თეორიული შეცდომა მუნიციპალური დაწესებულებების დაპირისპირებისა არსებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოსადმი. კერძოდ საფრანგეთის კომუნისტებს არაერთხელ უთქვამთ, რომ ამ დაწესებულებათა მექანიზმი იგივეა რაც ბურჟუაზიული სახელმწიფოსი და პროლეტარიატის მიზანია მათი დამსხვრევა. კაპიტალისტურ სახელმწიფოში კომუნისტები მხურვალე მონაწილეობას იღებენ საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებში, აგრეთვე სათანადო დაწესებულებებში არა მათ გასამტკიცებლად: ბრძოლა ამ დაწესებულებებში და მათ გარშემო ექვემდებარება პროლეტარიატის პარლამენტარულ ბრძოლას, რომლის მიზანია დამხობა კაპიტალისტური წესწყობილებისა და მით, რასაკვირველია, კაპიტალისტური სახელმწიფოსიც. მაგრამ სანამდე ეს დაწესებულებანი მაინც არსებობენ და მათ მიკუთვნებული აქვთ გარკვეული ფუნქციები ადგილებზე, კომუნისტები იღებენ მონაწილეობას უშუალოდ მათ მუშაობაში. საფრანგეთის კომუნისტებს გარკვეული აქვთ ამოცანები ამ შემთხვევაშიც. დგანან რა ოპოზიციაში ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ, ისინი ყოველმხრივად ცდილობენ დაიხმარონ მოსახლეობის უღარიბეს ნაწილს. ყველა მშრომელის დასახმარად მათ უნდა გამოიტანონ სააშკარაოზე ის დაბრკოლებანი, რომლებსაც ცენტრალური მთავრობა უქმნის მუნიციპალიტეტებს მშრომელთა ფართო მასებისათვის ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარების გზაზე. ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით განსაზღვრავდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ჟურნალი „კაიე დიუ ბოლშევიზმ“ (1935 წლის № 8 გვ. 462) მიზანს, რომელსაც კონკრეტულად ისახავდა პარტია მუნიციპალიტეტების დაპყრობით:

„თუ კომუნისტებს სურთ მუნიციპალიტეტების დაპყრობა, რომლებიც თავისი დანიშნულებით წარმოადგენენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მექანიზმს — ეს იმიტომ, რომ დაიცვან მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებანი, რომ განავითარონ პროლეტარიატის რევოლუციური აქცია, რათა გახადონ ისინი ანტიფაშისტური ბრძოლის და საფრანგეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ჰარადაზ“-ო. (ხაზი ჟურნალის რედაქციისაა. ნ.)

კომპარტიის ნათლად გამოკვეთილმა პოლიტიკურმა მიზნებმა, მასიურმა პოლიტიკურმა კამპანიამ, ერთიანი ფრონტის ტაქტიკამ შესძლო ის, რომ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, საფრანგეთის კომუნისტური პარტია დიდი გამარჯვებით გამოვიდა მუნიციპალურ არჩევნებიდან. უშუალოდ ამ არჩევნების მეორე ტურის შემდეგ საფრანგეთის კომპარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი მორის ტორეზი წერილში „სახალხო ფრონტის აღტყინება“ წერდა პარტიის ცენტრალურ ორგანოში („ჰიუმანიტე“,) შემდეგს:

„ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ უპრეცედენტო გამარჯვება მოიპოვა მუნიციპალურ არჩევნებში. საფრანგეთის მშრომელნი პარიზისა და მისი წითელი გარეუბნების მშრომელებთან ერთად აღფრთოვანებული მიესალმნენ ჩვენი პარტიის სახით მუშათა კლასის ერთიანობის თავდადებულ მებრძოლს და ორგანიზატორს, ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის სულისჩამდგმელს“.

ამ გამარჯვებას ჰქონდა უდიდესი გამოხმაურება საფრანგეთში. რეაქციის ძალებმა ამაში დაინახეს თავისი დასასრულის მოახლოების ნიშანი და დასცეს ყიჟინა: ქვეყანა ილუპება, ეს არის უშუალო შედეგი საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის დაახლოებისაო.

პოლიციური „ლიბერტე“ სწერს:

„არჩევნებმა ისეთი გამარჯვება არგუნა ბოლშევიკებს, რომ უაზრობა იქნებოდა და ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული ცდა არ დაგვენახა ამ გამარჯვების მნიშვნელობა და საშიშროება“.

„მთელი სურათის ყველაზე უფრო აღსანიშნავ ხაზს, რომელიც თვალში გეცემა — ეს არის კომუნიზმის წინსვლა. მათ წაგვართვეს იმდენი მუნიციპალიტეტები ქალაქის საგარეუბნო ადგილებში, რომ სულ ადვილად შესაძლებელია ხელთ იგდონ სინატორთა უმრავლესობა და განიზრახონ ლიუქსემბურგის სასახლეში (სადაც მოთავსებულია საფრანგეთის სენატი. ნ.) გაგზავნონ ანდრე მარტი, ხალათში გამოწყობილი ხალვათად და ხელში ტყავის სარტყელით, როგორც ის მებრძანდებოდა ხოლმე ბურბონთა სასახლეში (საფრანგეთის პარლამენტის შენობა. ნ.)

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გამარჯვების შედეგები, ეს კარგად უნდა ვიცოდეთ, კიდევ უფრო არასასიამოვნო იქნება ჩვენთვის, ვიდრე ზემოთქმული.

ჯერ ერთი — რევოლუციური და ანტიმილიტარისტული პროპაგანდა ახალი ენერგიით განვითარდება; მეორე — კომუნისტური პარტია დაიკავებს საუკეთესო სტრატეგიულ პოზიციას, საიდანაც ის გასაქანს არ მისცემს ცენტრალურ ხელისუფლებას... მისი გავლენის ქვეშ ახლაც არის მუნიციპალური ბიუჯეტების მნიშვნელოვანი თანხები, რომელთა ნაწილს ის მოიხმარს თუ გინდ მაგალითად იმისათვის, რომ შექმნას სასპორტო დაწესებულებანი, რომელთა საშუალებით მოახერხებს თავის ხელმძღვანელი გავლენის ქვეშ მოაქციოს მუშა-ახალგაზრდობა. ის მიიღებს ადმინისტრაციაში თავის პარტიულ მუშაკთა კადრებს“.

პირდაპირ საშინელებაა! თქვენ წარმოიდგინეთ: საფრანგეთის სენატი, ეს ფრანგების „ლორდთა პალატა“ და ამ „პალატაში“, ბრწყინვალე ჯენტლმენთა შორის... კომუნისტი-სენატორი ანდრე მარტი, რომელსაც არც „სმოკინგი“ აცვია, არც „ცილინდრი“ უმშვენებს თავის მორთულობას, არც გაკრახმალებული საყელო აქვს, არამედ ამ სიცხეში არხეინად გრძნობს თავს უბრალო სოფთა ბლუზაშიც. სარტყელი კი, იმის მაგიერ, რომ თავის ადგილას ჰქონდეს მორტყმული, ხელში უკავია მრგვალად დახვეული. და აკი „ხალვათად“ დადის ლორდთა შორის. ყოველივე ამას სჩადის, ვიმეორებთ, ანდრე მარტი, ფრანგ მეზღვაურთა (შავ ზღვაში, ინტერვენციის დროს) აჯანყების ორგანიზატორი და წინამძღოლი! აი რა ხალხმა გაიმარჯვა მუნიციპალურ არჩევნებში, აი ვისი გამარჯვება სცემს თავზარს გაზეთ „ლიბერტეს“ სულის ჩამდგმელთ. მართლაც საბუთი აქვს პოლიციელების გაზეთს „საგონებელში ჩავარდეს“.

იმავე „პანგზე“ მოსთქვამს გაზეთი „ჟურ“.

„კომუნისტები — წერს ის — მოიგებენ ამ საქმეს. ეს შესამჩნევი იყო უკვე პირველი ტურის დროს და ამას კვლავ დაადასტურებს მეორე ტური... წითელი სარტყელი სულ უფრო და უფრო გარს ერტყმის და ავიწროებს პარიზს. მთავრობას, რომელსაც გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა, ყოველი ზომისათვის უნდა მიემართა, რომ ხელი შეეშალა ამისათვის... პარიზის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი კომუნისტი იყო — მარტი. მომავალში იქ იქნება რვა. ხუთასი დელეგატი, სენატორების ამრჩევლები, რომლებიც კომუნისტებს ეყოლებათ გუშინდელი არჩევნების შემდეგ, გაგზავნიან სენატში, მისი განახლებისას, კომუნისტ-სენატორებს. დღემდე კი სენატი იოლად მიდიოდა უმათოთ“.

აქ არის უკვე აშკარა მოწოდება მთავრობისადმი, გააძლიეროს ფაშისტური ღონისძიებანი კომუნისტების და საერთოდ ერთიანი ფრონტის მომხრეთა წინააღმდეგ, რომლებიც, თუ ასე არ მოხდა, აავსებენ წარმომადგენლობითი დაწესებულებებს. იმავე „მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას“... ცნობას კომუნისტების გამარჯვების შესახებ გაზეთი „ტან“, გამოსთქვამს რა ამ მწუხარებით მძიმე მრეწველობის კავშირის და მსხვილი ბანკების სულისკვეთებას.

„მუნიციპალური არჩევნების პირველმა ტურმა საკმაო აბნეულობის შთაბეჭდილება დასტოვა. ნაციონალურმა რესპუბლიკურმა პარტიებმა დაიპყრეს ნიადაგი. ყოველ შემთხვევაში აშკარად გვეჩვენებოდა, რომ ურთიერთ შეთანხმება-შერიგების და ნაციონალური კავშირის პოლიტიკა შესძლებდა წარმატებათა მიღწევას მეორე ტურის დროს, თუ პარლამენტარული უმრავლესობის პარტიები მტკიცე დისციპლინას დაიცავდენ. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ასე არ მოხდა. დისციპლინა ჰქონდა „ერიან ფრონტს“ და წარმატებასაც მან მიაღწია. მავნე და სახიფათო იქნებოდა ამის უარყოფა და ილიუზიებისათვის თავის მიცემა. ეჭვს გარეშეა, ნაციონალურ რესპუბლიკურმა უმრავლესობამ შეინარჩუნა თავისი პოზიციები... მაგრამ „ერთიანმა ფრონტმა“ გაიმარჯვა ძალიან ბევრ მუნიციპალიტეტში. ფაქტია, რომ პარიზის მუნიციპალიტეტში რვა კომუნისტი შევიდა, წითელი გარეუბანი გაფართოვდა ისე, რომ კომუნიზმს, როგორც კომუნისტური გაზეთი „ჰუმანიტე“ ამბობს, უფლება აქვს გახარებული იყოს თორმეტი მაისის შედეგებით. ამნაირად არჩევნებით მოიგო კომუნიზმმა, დიქტატურისა და ტერორის პარტიამ, არსებითად ანტიპატრიოტულმა პარტიამ“.

და ეს გამარჯვება მოიპოვა ერთიანმა ფრონტმა და განსაკუთრებით კომუნისტურმა პარტიამ არა მარტო პარიზში და დიდ ცენტრებში, არამედ მთელს საფრანგეთში, მის სოფლის რაიონებშიაც. ამას მოწმობს გაზ. „ენფორმასიონ ფინანსიერიც“, რომელიც წერს:

„პარიზის გარეუბანში კომუნისტების წარმატება კიდევ უფრო თვალსაჩინოა. კოალიციამ სოციალისტებთან თავისი ნაყოფი გამოიღო და ყველაზე უფრო კი „მოსკუტერების“ (ე. ი. „მოსკოველ“ მომხრეების, როგორც ისინი უწოდებენ კომუნისტებს. ნ.) სასარგებლოდ.. უკიდურეს მემარცხენე პარტიებში შესანიშნავი დისციპლინა იყო. ეს მოხდა არამარტო პარიზში და მის გარეუბნებში, არამედ მთელს საფრანგეთშიც. და ეს მაშინ, როდესაც მათ მოწინააღმდეგეებში ეს დისციპლინა მოშვებული იყო“...

საფრანგეთის პრესის საერთო „ერიამულში“ კომუნისტების გამარჯვების შესახებ გარკვევით ისმის გაზ., „ჟურნალის“ ხმაც. ის არაფერს კარგს არ მოელის თავისთ „სამშობლოსათვის“, ერთიანი ფრონტის და უმთავრესად კი, რასაკვირველია, კომუნისტების გამარჯვებისაგან.

„გაფართოებულმა კარტელმა, რომელშიც „ერთიანი ფრონტის“ სახელწოდებით შედიოდენ კომუნისტები და სოციალისტები, კიდევაც თუ არ ჩავთვლით მთავრობის პარტიების ზოგიერთ ელემენტებს (მხედველობაში ყავთ რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების პარტიის ზოგიერთი წევრები. ნ.) დიდ წარმატებას მიაღწია. შედეგი ის იყო, რომ მთელ რიგ ადგილებში გაძლიერდენ მემარცხენეები, ხოლო პარიზის გარეუბნებში კი — თვით უკიდურესი მემარცხენეებიც. მუნიციპალურ საბჭოში იყო ერთი კომუნისტი. ამიერიდან კი იქნება რვა კომუნისტი, გარემოება, რომელიც გვიქადის იმას, რომ მუნიციპალური საბჭოს სხდომები წყნარად და მშვიდად აღარ ჩატარდებიან“.

რასაკვირველია! წყნარად და მშვიდად ველარ მოახერხებენ მშრომელთა ნაფულარის განიავებას, როგორც ამას იქ ჰქონდა ადგილი დღემდე.

კომუნისტების დიდი გამარჯვება საფრანგეთის მუნიციპალურ არჩევნებში ერთხელ კიდევ მოწმობს იმ გავლენას, რომლითაც სარგებლობს პარტია, მოწმობს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის ცხოველმყოფლობას, მოწმობს იმ ფაშისტურ-რეაქციული ძალების დეზორიენტაციის დასაწყისს, რომლებიც გამოდიან მშრომელთა და მისი პარტიის, აგრეთვე მთელი ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ, გამოდიან რესპუბლიკის წინააღმდეგაც.

ნ.

1905 30 წლის წინათ

მუშათა დახვრეტა ივანოვო-ვოზნესენსკში

ივანოვო-ვოზნესენსკი. მაშინ წარმოადგენდა მეფის რუსეთის საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს. ამ ქალაქის ასი ათასამდე მცხოვრები საშინელ პოლიტიკურ უუფლებობაში, გაჭირვებასა და მუქუში ატარებდა სიცოცხლის დღეებს. ფაბრიკანტები ეწეოდნენ მუშათა სასტიკ ექსპლოატაციას, განსაკუთრებით მოზარდი მუშებისას (მოზარდები 20 წლამდე შეადგენდნენ მუშათა საერთო რიცხვის თითქმის ერთ მესამედს).

1905 წლის რევოლუციურმა აზვირთებამ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა შორისაც. 1905 წლის 25 მაისს, ივანოვო-ვოზნესენსკის ფეიქრებმა რ.ს.დ.მ. პარტიის ჩრდილოეთის კომიტეტის ხელმძღვანელობით გამოაცხადეს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც თვენახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა და რომელშიაც 70 ათასამდე მუშა მონაწილეობდა. გაფიცვის ხელმძღვანელობად მათ აირჩიეს სპეციალური ორგანო, რომელიც შემდეგ იქცა **მუშათა დეპუტატების პირველ საბჭოდ მთელ რუსეთში**, პროლეტარიატის დიქტატურის პირველ ჩანასახად.

მთელი გაფიცვის პერიოდში მდინარე ტალკთან (ქალაქიდან ერთი კილომეტრის დაშორებით) სისტემატიურად, თითქმის ყოველდღე ტარდებოდა მასობრივი მიტინგები, სადაც გამოდიოდენ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები (აფანასიევი, ფრუნზე, ბუბნოვი და სხვ.) და მუშებს მოუწოდებდენ ენერგიული ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ფაბრიკანტთა წინააღმდეგ. როგორც შემდეგ მუშები ლაპარაკობდენ, ეს მიტინგები მდ. ტალკთან იქცა მასების აღზრდის „სოციალისტურ აკადემიად“.

მუშებმა ფაბრიკანტებს წაუყენეს მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაზე მათ უარი უთხრეს. თვითმპყრობელობის აგენტებმა და ფაბრიკანტებმა ქალაქი აავსეს ჯარით, რომ მზად ყოფილიყვნენ მუშათა მხრით მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

მთელი სამი კვირის განმავლობაში მუშათა ეს მიტინგები მდ. ტალკასთან თანდათან პოლიტიკურად მწვავე ხასიათს ღებულობდა, მუშათა უკმაყოფილება იზრდებოდა. მთავრობამ და ბურჟუაზიამ, რომელიც ხედავდა, რომ მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, მუშები განაგრძობენ მიტინგების მოწყვევას, გადაწყვიტა პროვოკაციის მოწყობა. სრულიად მოულოდნელად, 15 ივნისს, ქალაქში გამოაკრეს გუბერნატორ საზონოვის განცხადება, რომლითაც მუშებს ეკრძალებოდათ მდ. ტალკთან შეკრება და საუბრები.

მიუხედავად ამ პროვოკაციული გაფრთხილებისა, მეორე დღეს, 16 ივნისს, მუშები მაინც შეიკრიბნენ ამ მდინარესთან.

ამ დღეს,—როგორც მოგვითხრობს ამ ამბების ერთი მოწმე რ.ს.დ.მ.პ. მოსკოვის კომიტეტის ორგანო „გოლოს ტრუდა“ მეხუთე ნომერში,—აქ უკვე იყვნენ კაზაკები. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გამოჩნდნენ ასტრახანელი კაზაკები პოლიცმეისტერ კოჟელოვსკის მეთაურობით. ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე კაზაკები სტვენით, ყიჟინით და სროლით შეესიენ მუშებს. პოლიცმეისტერი შჰყვიროდა: „დახოცეთ მაგ მამაძაღლებს, დახოცეთ“. მუშებს მხეცურად ხვრეტდენ ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე.

ყველა გაფიცული მოიცვა სასტიკმა აღშფოთებამ და სიძულვილის ღრმა გრძნობამ. ქალაქში დაიწყო არეულობა. უკვე 16 ივნისს აქა-იქ გაჩნდა ხანძარი, რომელიც შემდეგ უფრო და უფრო გახშირდა.

მუშათა ჯგუფები და მათი ცოლები ქალაქის სხვადასხვა ადგილას ანგრევდენ, ამტვრევდენ და სწვავდენ შენობებს. ხანძარი გაუჩნდა ადმინისტრაციის შენობას, ფაბრიკანტების საავარაკო სახლებს და სხვა შენობებს. ამით შეშინებულმა მეფის მთავრობამ ქალაქში გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობა; მუშათა უბნები დაემსგავსა სამხედრო ბანაკს, სადაც ყოველდღე აპატიმრებდენ და აწამებდენ მუშებს. მთავრობას სურდა ამით დაეშინებია გაფიცულნი, მაგრამ მან მიზანს მაინც ვერ მიაღწია, მუშათა აქტიური პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ვერ ჩააქრო.

გაფიცვა მხოლოდ 14 ივლისს შეწყდა მუშათა კომიტეტის გადაწყვეტილებით. პროკლამაციაში, რომელიც ამასთან დაკავშირებით გამოუშვა კომიტეტმა, მუშებს მოუწოდებდენ ახალი ბრძოლისაკენ, **შეიარაღებული აჯანყებისაკენ.**

ლ. ქ.

თვითმფრინავ-გიგანტების ფონდში

16 ივნისისათვის—504.200 მანეთი

სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის კანტორის ცნობით, 16 ივნისისათვის საქართველოში თვითმფრინავ-გიგანტების ფონდში შეგროვილია სულ 504.200 მანეთი. აქედან „პრავდას“ ანგარიშზე შემოსულია 102.000 მან., საკავშირო პროფსაბჭოს ანგარიშზე — 275.000 მან. და რაიონებში 127.200 მანეთი.

★

ქუთაისი, (საკ. კორ.) ქუთაისში თვითმფრინავ-გიგანტების ფონდში შეგროვილია 10.204 მანეთი. კერძოდ „პრავდას“ ანგარიშზე შემოსულია 1346 მანეთი, მაგრამ სახბანკის ა.-კ. კანტორაში გადარიცხულია მხოლოდ 754 მანეთი. საკავშირო პროფსაბჭოს ანგარიშზე შემოსულია 8.858 მანეთი, ხოლო გადარიცხულია 8.004 მანეთი.

შირაქის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებით თვითმფრინავ-გიგანტების ასაგებად გადაირიცხა ერთი დღის ხელფასი—5.000 მანეთი.

★

წნორის მ. ტ. ს-ის მუშა-მოსამსახურეებმა თვითმფრინავ-გიგანტების ფონდში გადაირიცხეს ერთი დღის ხელფასი — 1.000 მანეთის რაოდენობით.

ორი ახალი კოლმეურნეობა

გურჯაანი, 15 ივნისი. მოსავლის აღებასთან დაკავშირებით გურჯაანის რაიონში დაიწყო მშრომელ ერთპიროვნულ გლეხთა მასობრივი ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ.

უკვე ჩამოყალიბდა ორი კოლმეურნეობა: ერთი—სოფ. ჭანდრისუბანში და მეორე—სოფ. გურჯაანში. არსებულ კოლმეურნეობებს ემატება ახალი წევრები.

ჭანდრისუბნის კოლმეურნეობას ეწოდა ამხ. ვალიკო ბაქრაძის სახელი, გურჯაანისას კი—ამხ. გ. მგალობლიშვილის სახელი.

საგზაო მშენებლობის დამკვრელთა სარაიონო შეკრება გურჯაანში

გურჯაანი (სპეც. კორ.). გურჯაანის რაიონი საგზაო მშენებლობის დარგში მოწინავეა მოწინავეთა შორის რესპუბლიკაში. იგი გასულ წელს ჩაება უგზოობის ლიკვიდაციის საკავშირო სოცშეჯიბრებაში და ენერგიულად გაშალა მუშაობა.

სოცშეჯიბრების პირველი ტურის შედეგების შეჯამების დროს, გასული წლის პირველ ნახევარში, რაიონმა საუკეთესო შედეგები გვიჩვენა და დაჯილდოებულ იქნა საქართველოს ცაკთან არსებულ უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკურ შტაბისა და გაზ. „კომუნისტის“ გარდამავალი დროშით, სატვირთო ავტომანქანით და 20.000 მანეთით (ფულად). რაიონს არც შემდეგ შეუსუსტებია კულტურული გზების მშენებლობისათვის ბრძოლა და, რაც მთავარია, უფრო მეტად გააცხოველა მუშაობა გზების მოვლა-პატრონობისა და ხარისხისათვის, რითაც შეინარჩუნა წლის პირველ ნახევარში მიღწეული შედეგები და მიაღწია იმას, რომ სოცშეჯიბრების მთავარი ამოცანა—უგზოობის ძირითადად ლიკვიდაცია 1934-35 წლების განმავლობაში განახორციელა გასულ წელს.

უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლმა რესპუბლიკურმა შტაბმა წლის ბოლოსაც აღნიშნა რაიონის ასეთი მიღწევა და იგი დააჯილდოვა მუდმივი საპატიო დროშით და 6000 მანეთით (ფულად). ამასთან გურჯაანის რაიონის წარმატებები აღნიშნა გაზ. „იზვესტიასთან“ არსებულმა უგზოობის ლიკვიდაციის საკავშირო შტაბმაც და იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა. ცენტრალურმა შტაბმა სიგელითვე დააჯილდოვა რაიონის მოწინავე ურიათუბნის სასოფლო საბჭო.

გარდამავალი დროშა კი საქართველოს რესპუბლიკურმა შტაბმა მიანიჭა გურჯაანის შემდეგ ყველაზე მოწინავე ჟულელის (ყოფ. ზესტაფონის) რაიონს.

12 ივნისს გურჯაანის რკინისგზელთა კლუბში მოწვეული იყო რაიონის საგზაო მშენებლობის დამკვრელთა მეორე შეკრება.

შეკრება საზეიმო გარემოებაში მიმდინარეობდა. ქალაქი მორთული იყო დროშებით, მთავარ ქუჩის გარდიგარდმო გაჭიმული იყო წითელი ტრანსპარანტები ლოზუნგებით, რომლებიც ამახვილებდენ ყურადღებას კულტურული გზების მშენებლობისაკენ.

შეკრებას, გარდა რაიონის დამკვრელებისა და აქტივისა, ესწრებიან დელეგატებად გამოწვეული წარმომადგენლები კახეთისა და ჟულელის რაიონების, უგზოობის წინააღმდეგ მებრძოლ რესპ. შტაბის, საქაზატრანსის და საქართველოს „ავტოგზის“ ცენტრალური გამგეობები.

შეკრება გახსნა საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. **ი. კოპლამაზაშვილმა.** არჩეულ იქნა საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმები. საპატიო პრეზიდიუმში ამხ. სტალინის არჩევას შეკრების მონაწილენი დიდი ოვაციებით შეხვდენ. შეკრებამ მოისმინა მოხსენებები გურჯაანის რაისაგზაო განყოფილების გამგის ამხ. **ა. მეტრეველის,** რაიონის კომკავშირის ორგანიზაციის წარმომადგენლის ამხ. **ჯავშანიშვილის** და ურიათუბნის სოფსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **დალანდარიძისა** საგზაო მშენებლობის დარგში შესრულებული მუშაობის შესახებ. ამასთან შეკრებამ მოისმინა ჟულელის რაისაგზაო განყოფილების გამგის ამხ. **ს. ოკრიბელაშვილის** ინფორმაცია საგზაო მშენებლობის დარგში მათთან არსებული მდგომარეობის შესახებ. დამსწრენი მხურვალედ მიესალმენ ჟულელის რაიონის მიღწევებს.

შეკრების საზეიმო ნაწილში მოხდა რაიონისათვის საპატიო დროშის გადაცემა. დროშა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ოქროპირიძემ** ჩაიბარა რესპუბლიკური შტაბის წარმომადგენლებისაგან, რომლის სახელითაც მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს საქაზატრანსის უფროსის მოადგილემ ამხ. **მ. კუხალეიშვილმა** და შტაბის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. **დ. ჟაჟიკაშვილმა,** რომელთაც გაამახვილეს რაიონის ყურადღება იმაზე, რომ საპატიო დროშის მიღებით იგი არ მიეცეს თვითკმაყოფილებას, არამედ კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა და ყოველთვის მაგალითის მაჩვენებელი იყოს დანარჩენი რაიონებისათვის.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ ამხ. **დ. შერეპიძე** (ლაგოდეხის რაიონიდან), ამხ. **ლ. სულთანიშვილი** (სიღნაღიდან) და სხვ.

შეკრებამ აირჩია დელეგაცია ხუთი კაცისაგან, რომელსაც დაევალა ჟულელის რაიონისათვის გარდამავალი დროშის ჩაბარება.

დასასრულ დარიგდა ჯილდოები, რომელიც მიანიჭეს რაიონის დამკვრელებს საგზაო შეჯიბრების ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა შტაბებმა.

მუშაობის დამთავრების წინ შეკრებამ დაადგინა მიმართოს რესპუბლიკის ყველა რაიონს სპეციალური წერილით. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნათ ამხ. **ლ. ბერიას და ფ. მახარაძეს.**

რაიონებისათვის გასაგზავნ წერილში გურჯაანის რაიონის საგზაო მშენებლობის დამკვრელები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ **ორდენოსან საქართველოს უნდა ჰქონდეს სანიმუშო გზები.**

ა. კელენჯერიძე

15—16 ივნისი

★ **ივანოვო-ვოზნესენსკში** მდ. ტალკთან დახვრიტეს მუშები.

★ **ლიბავაში** მიმდინარეობდა საყოველთაო გაფიცვა.

★ **ტომსკში** გაიფიცნენ ციმბირის რკინისგზის მუშამოსამსახურენი.

★ **ბალაშოვის** მაზრაში თანდათან მწვავდებოდა გლეხთა აგრარული მღელვარება.

★ **გაიხსნა** კურსკის გუბერნიის გლეხთა ყრილობა.

★ **პლეხანოვმა** საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს გიუსმანსს გაუგზავნა წერილი რ.ს.დ.მ.პ. წარმომადგენლის შესახებ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში (აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე 2 ივნისს ლენინმა ამავე ბიუროს გაუგზავნა სპეციალური წერილი და აცნობა, რომ პარტიის მესამე ყრილობის დადგენილებით „ისკრა“ აღარ წარმოადგენს პარტიის ცენტრალურ ორგანოს და მის ნაცვლად გამოდის „პროლეტარი“ და რომ პარტიის წარმომადგენლად საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში დანიშნულია ვ. ულიანოვი).

★ ქუთაისში დამთავრდა საერთო პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც რამოდენიმე დღეს გრძელდებოდა.

ჟულელის რაიონმა ჩაიბარა გარდამავალი დროშა

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობით ჟულელის რაიონმა 1934-35 სასწავლო წლისათვის მზადება საუკეთესოდ ჩაატარა და რაიონის განათლების განყოფილებათა რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული გამოვიდა.

12 ივნისს საქართველოს განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ერ. გორდელაძემ და სასკოლო სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. გოგუაძემ ჟულელის რაიონს გამარჯვების მაჩვენებელი — გარდამავალი დროშა ჩააბარეს.

საზეიმო სხდომა, რომელიც დროშის გადაცემასთან დაკავშირებით შესდგა, გახდა სტიმული მომავალი სასწავლო წლისათვის მზადებაში რაიონის მშრომელთა მონაწილეობის გაძლიერებისა. რაიკომის მდივანმა ამხ. გრ. გაბუნიამ საზეიმო სხდომაზე საქართველოს განსახკომის წარმომადგენლებს ჟულელის რაიონის მშრომელების სახელით პირობა მისცა, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ სასკოლო მშენებლობის ტემპებს და ბოლომდე შეინარჩუნებენ რესპუბლიკურ კონკურსში მიღებულ გარდამავალ დროშას. ახალ სასწავლო წლისათვის სამზადისი რაიონის სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს. მაგრამ არის ზოგიერთი სასოფლო საბჭო (ძირულა, ფუთი, პირველი სვირი), სადაც ჯერჯერობით ამ მიმართულებით ბევრი არაფერი გაკეთებულა.

რესპუბლიკურ კონკურსში მოპოვებული გამარჯვების ბოლომდე შენარჩუნებისათვის ბრძოლა ჟულელის რაიონის პარტიულ - საბჭოთა ორგანიზაციების და მთელი მშრომელი მოსახლეობის ღირსების საქმეა. (საკ. კორ.).

აზერბაიჯანელი პოეტები მარჯანიშვილის თეატრში

14 ივნისს აზერბაიჯანელი პოეტები ესტუმრნენ მარჯანიშვილის სახ. თეატრს. ისინი დაესწრნენ თეატრის ახალ დადგმას „განურჩევლად პიროვნებისა“. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ თეატრის დირექტორის ამხ. პ. დადვაძის კაბინეტში გაიმართა ამხანაგური საუბარი და აზრთა გაცვლა - გამოცვლა. ილაპარაკეს თურქმა მწერლებმა სანალიმ, რაფილიმ და ნაზიმიმ. მათ აღნიშნეს პიესის დიდი აქტუალური მნიშვნელობა და მიულოცეს თეატრს და ავტორს— პ. ბააზოვს ახალი მიღწევა, რომელიც გამოიხატა პიესის თემატურ და პოლიტიკურ გამართლებასა და მის სასცენო და აქტიორულ შესრულებაში.

მათ გამოთქვეს სურვილი მოეწყოს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები ბაქოში და ითარგმნოს თურქულ ენაზე ბააზოვის ახალი პიესა — „განურჩევლად პიროვნებისა“.

—o—

რა შენდება ტფილისში

დიდი საბინაო კომბინატი საბურთალოზე

ტფილისის საბჭომ საბურთალოზე გამოჰყო მიწის დიდი ფართობი ა.-კ. მშენის მუშათა, ინჟინერ - ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საბინაო კომბინატის ასაგებად. აქ აიგება რამდენიმე კორპუსი: 30-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, აგრეთვე ორი საერთო საცხოვრებელი 400 და 150 კაცისათვის.

კომბინატთან აიგება ამბულატორია, კლუბი, სასადილო, ფაბრიკა - სამზარეულო, საბავშვო ბაგა და მექანიზებული სამრეცხაო. კომბინატის ტერიტორიაზე გაშენდება ბაღი ოთხი ჰექტარის სივრცეზე.

ა.-კ.-მშენი უკვე შეუდგა დაპროექტებისა და საძიებელ სამუშაოებს. თვით კომბინატის მშენებლობა წელსვე დაიწყება. ეს იქნება ტფილისში პირველი დიდი საბინაო კომბინატი საბინაო ტრესტის უფლებებით.

5-სართულიანი სახლი მუშებისათვის

ტფილისის მაუდის ფაბრიკის ტერიტორიაზე შენდება ხუთსართულიანი სახლი 37 ბინით მაუდის ფაბრიკის მუშებისათვის. თვითეული ბინა იქნება 3-4-ოთახიანი სრული გამართულობით.

მშენებლობაზე მიწის სამუშაოები უკვე დამთავრებულია. ამ დღეებში დაიწყება საძირკვლის ამოყვანა.

სახლის პროექტი დაამუშავა საქსახპროექტის არქიტექტორმა ამხ გრიცამ.



6 ივნისიდან ლისის ტბაზე გაიხსნა წყალზე მაშველი საზოგადოების სადგური. გამოსასვლელ დღეებში ტფილისის საწარმოები აწყობენ ტბაზე მასობრივ ექსკურსიებს.

სურათზე: „ზარია ვოსტოკას“ სტამბის კომკავშირელები და გაზ. „მოლოდოი რაბოჩის“ რედაქციის მუშაკები, რომლებმაც 12 ივნისს მოაწყეს ტბაზე ექსკურსია, ექსკურსანტების გართობა.



სახელმწიფო ბანკის ახალი შენობა სტალინირში.

საგარეუბნო კურორტებზე

საგარეუბნო კურორტებზე გაცხოველებით ემზადებიან საზაფხულო სეზონისათვის, რომელიც დაიწყება 20 ივნისს.

მართალია, წელს აგარაკების შესაკეთებლად ბიუჯეტით არ ყოფილა თანხები გათვალისწინებული, მაგრამ ტფილისის ჯანგანყოფილების საკურორტო სამმართველომ ზოგი სახლი სხვა ორგანიზაციებს გადასცა ორი-სამი წლის ვადით და ზოგიც საკუთარი შემოსავლით შეაკეთა.

წელს საგარეუბნო კურორტებს წინანდელზე 25 ათასზე მეტი მოაგარაკე ესტუმრება. აქედან საკურორტო სამმართველოს სახლებს 18 ათასზე მეტი მოაგარაკის მიღება შეუძლიათ.

უკვე განაწილებულია ბინები ტფილისის საწარმოებს შორის: კალინინის, 26 კომუნარის და ორჯონიკიძის სახელობის „მეგრაზის“, მაუდის, ტყავ-ტრესტისა და სხვა ფაბრიკა-ქარხნების მოწინავე მუშები და მათი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილი იქნებიან სუფთა ჰაერზე კულტურული დასვენებით.

ყველა კურორტზე (კოჯორი, მანგლისი, კიკეთი, წყნეთი) საკმაო რაოდენობით გაიხსნება სასურსათო-სამრეწველო პროდუქტების და გამაგრილებელი სასმელების სავაჭრო წერტები.

კოჯორში

წელს პირველად იხსნება მოზარდთა სანატორული ტიპის დასასვენებელი სახლი 70 მოზარდისათვის და ერთიც მოზრდილთათვის 50 საწოლით. მოეწყობა პოლიკლინიკა სათანადო ლაბორატორიებით, კაბინეტებით და სპეციალურად შერჩეული ექიმებით.

კიკეთში

იმუშავებს ამბულატორია, აფთიაქი, დასასვენებელი სახლი 50 კაცისათვის და მოეწყობა ფიზკულტურისა და სპორტის მოედანი.

მანგლისში

მოწყობილია ბავშვთა სანატორიუმი 100 საწოლით. ამ სანატორიუმში გაიგზავნებიან ბავშვები, რომლებსაც ექიმების დასკვნით ემჩნევათ ტუბერკულოზის ნიშნები.

სეზონის განმავლობაში იმუშავებს პოლიკლინიკა, რომელიც უზრუნველყოფილია უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებით. მოეწყობა ფიზკულტურის მოედანი, სოლარიუმი და სხვ. თუ წინა წლებში მანგლისის სოფლის საბჭოს მცირედიანი ელსადგური კურორტს ვერ აწვდიდა საკმაო სინათლეს. წელს ეს ნაკლი გამოსწორებულია. კურორტს სინათლის დამატებითს ენერგიას მიაწვდის საკურორტო სამმართველოს სახერხი ქარხანა.

კულტმომსახურება

საგრძნობლად გაუმჯობესებული იქნება მოაგარაკეთა კულტურული მომსახურება. კულტურული გასართობების გეგმაში გათვალისწინებულია: კინო, ექსკურსიები, თვითშემოქმედების საღამოები, კონცერტები, ჭადრაკი და სხვ.

მანგლისის ხეივნის დახურულ ესტრადაზე დაუკრავს ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლის ორკესტრი ცხომელიძის ხელმძღვანელობით და სხვ.

კურორტების გამწვანება

დიდი მუშაობაა ჩატარებული საგარეუბნო კურორტების გასამწვანებლად. მანგლისში წარმოებს ძველი ბუნებრივი ფიჭვნარის განახლება, შენდება ახალი ფიჭვნარი. აქ წელს დაირგო 14 ათასი ფიჭვი. მოეწყო სანერგე, რომელიც ორი-სამი წლის შემდეგ 200 ათასამდე ნერგს მისცემს საგარეუბნო კურორტებს. მიმდინარე წლისათვის სანერგეში დამზადდება 35 ათასი ნერგი. ამასთან კოჯორისა და კიკეთის სანერგეებში 600 ათასამდე ნერგი დამზადდება.

საკურორტო სამმართველოს განზრახული აქვს ფიჭვი, როგორც ჰაერის ოზონით (თავისუფალი ჟანგბადი) გამამდიდრებელი ჯიში, გააშენოს ყველა კურორტზე.

ამას გარდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეზოებისა და დასასვენებელი ადგილების ყვავილნარით შემკობას. მანგლისში მოწყობილი ყვავილთა ნერგების სათბური ძირითადად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას.

—o—

1.300 მოგება

ქუთაისის შემნახველი სალარო შეუდგა პირველი და მეორე წლის (მეორე ხუთწლედის) სესხის უკანასკნელი ტირაჟის მოგებათა გაცემას.

მარტო ქუთაისში 3 ივნისიდან 9 ივნისამდე სალარომ გაანაღდა 1.300 მოგება 74 ათასი მანეთის რაოდენობით (საკ. კორ.).

კოლმეურნეობამ ავტომობილი შეიძინა

მახარაძე, 15 ივნისი. ამ დღეებში სოფ. ასკანის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნეობამ მიიღო ტონანახევრიანი საბარგო ავტომანქანა. ეს მანქანა კოლმეურნეობამ შეიძინა სახელმწიფოსათვის გეგმის გარეშე ჩაბარებულ სოიაში აღებული თანხით.

კოლმეურნეებმა თავიანთი მანქანის მიღებისას სანიმუშოდ შეაკეთეს ასკანის ყველა გზა.

კოლმეურნეობამ უკვე შეაგროვა ახალი თანხები მეორე საბარგო ავტომანქანის შესაძენად.

—o—

ხმოვანი კინო

წალენჯიხა, 15 ივნისი. (საკ. კორ.) დამთავრდა ხმოვანი კინოს მოწყობა. 14 ივნისს პირველად იქნა ნაჩვენები რამდენიმე კინოქრონიკა. ხმოვანი კინოს საზეიმო გახსნა დანიშნულია 16 ივნისისათვის.

„კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული რაიონული

გაზეთების რედაქტორებისა და მდივნების მოსამზადებელ კურსებზე

მეცადინეობა დაიწყება 20 ივნისს. ის ამხანაგები, რომლებიც რაიკომების მიერ არიან მოვლინებული კურსებზე, უნდა გამოცხადდნენ გაზ. „კომუნისტის“ რედაქციაში (რუსთაველის პროსპექტი № 16) 19 ივნისს დილით.

სპორტი

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლების სპარტაკიადა

სამი დღის შეჯიბრების შემდეგ დასრულდა პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში. გამარჯვებული გამოვიდა ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტი. უკანასკნელის გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ ტფილისის საუკეთესო მძლეოსნები: ნ. ზალდასტანიშვილი, თ. გეგელაშვილი, კილაძე, ბუხილი, ბაქრაძე, გოკიელი, ტფილისის საუკეთესო ტანმოვარჯიშე მამარდაშვილი და სხვანი.

მძლეოსნებსა და ტანმოვარჯიშეებს არ ჩამორჩებიან ფეხბურთელები, კალათბურთელები და ფრენბურთელები, რომელთა უმრავლესობაც ტფილისის, საქართველოს და ა.-კ. ნაკრებ გუნდებში შედიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ა.-კ. ინდუსტრიალურ ინსტიტუტში ფიზკულტურული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას. ეს იმით აიხსნება, რომ ამ საქმეს დიდ ყურადღებას აქცევენ როგორც ინსტიტუტის დირექცია, ისე პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციებიც.

მეორე ადგილი მძლეოსნობაში დაიჭირა ა.-კ. ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტმა. ძლიერი შემადგენლობით გამოვიდნენ შეჯიბრებაზე სახ. უნივერსიტეტის ფიზკულტურელებიც, მაგრამ საკმაო მოუმზადებლობის გამო საჭირო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ზემოხსენებულ ინსტიტუტებს.

გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთსა, კალათბურთსა და ფრენბურთში.

—o—

შემთხვევები

# **ავტომობილის ავარია.** კახეთის ქუჩაზე, ავტომანქანამ № 8—87, რომელსაც მართავდა შოფერი ა. ა. მალოხიევი, წინა მანქანის გასწრების მიზნით, განავითარა დიდი სისწრაფე. მოსახვევში მანქანა გადაბრუნდა და დაზიანდა. არავინ დაშავებულა. შოფერი პასუხისგებაში არის მიცემული.

# **მცირეწლოვანი ქურდები.** საბაიოს ქუჩაზე, პურის წერტში მოქ. დავრაშვილს მოჰპარეს საფულე ფულითა და დოკუმენტებით. შეპყრობილი ქურდები აღმოჩნდნენ მცირეწლოვანი ც. გ. მელქონიანი და ა. ა. მანუჩარაშვილი. საფულე ჩამოართვეს და გადასცეს დაზარალებულს.

# **ქურდების დაპატიმრება.** 14 ივნისს გაქურდეს მოქ. ხვედაგიანის ბინა (ბელგის ქ. 4). ბოროტმოქმედნი შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდნენ ბ. ს. მოსკალენკო, მ. ე. იაკოვლევა, ი. კ. მარტინოვსკი და ე. ა. ტარასენკო.

# **ხულიგნობა.** მილიციამ შეიპყრო ანტონ ილიას-ძე შოთაძე; მას ხულიგნობისათვის მისჯილი ჰქონდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და იგი გაქცეული იყო შრომა-გასწორების სახლიდან.

—o—

გასწორება

ჩვენი გაზეთის № 121-ში დაბეჭდილია საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1935 წ. 21 მაისის დადგენილება სისხლის სამართლის კოდექსისათვის 110^1 მუხლის დამატების შესახებ.

აღნიშნულ დადგენილების, როგორც სათაურში ისევე ტექსტში, ნაცვლად 110^1 მუხლისა უნდა იყოს 110^2.

სახელმძღვანელოს განხილვა

17 ივნისს, საღამოს 8 საათზე, სახ. უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანატი აწყობს პროფ. არ. ჩიქობავას დასაბეჭდად წარმოდგენილი სახელმძღვანელოს—„ზოგადი ენათმეცნიერების“ განხილვას. შესავალი სიტყვა პროფ. ივ. ვაშაყმაძის.

—o—

პარტკალენდარი

— 16 ივნისს საღამოს 7 საათზე საქ. კ.პ (ბ) ტფილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი ტფილისის საბჭოს დარბაზში ძირეულ აგიტატორებისათვის ატარებს ამხ. ი. მამულიას ჯგუფურ კონსულტაციას შემდეგ თემაზე: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ბავშვთა უპატრონობის და უზედამხედველობის ლიკვიდაციის შესახებ.

სავალდებულოა ყველა აგიტატორის, პარტკომების მდივნების და პარტორგების დასწრება.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვ. ფილმი—მფრინავები პრ. გარეშე—ხმ. კინო-ჟურნალი № 13
დამკვრელი (საზაფხ. სახამთრო) 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ.—მხატვრ. კომედია ნახვამდის საზამთ.—მხატვრული ფილმი ფიჭვები შრიალებენ (ატამანი ოსა)
ტემპი (საზამთ.) 7, 8-45, 10-30	მხატვრული ფილმი „ბიძორი“
ტემპი (საზაფხ. ხმოვანი 8-45, 10-45	ახალი ხმოვ. ფილმი—მფრინავები პრ. გარეშე—ხმ. კინო-ჟურნალი № 13
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	დიდი ხმოვანი ფილმი—გლეხები
ეთერი (საზაფხ.) 8-45, 10-30	მხატვრული ფილმი განწირულნი 1 სერია
„26“-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	საზამთ.—ხმ. ფილმი უკანასკნელი მასკარადი საზაფხ. განწირულნი —2-რე სერია
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30.	მხატვრული კომედია ბედნიერი ფინიში

გაზ. „კომუნისტის“ გამომცემლობის

სტამბა

ღებულობს მოწაფეებს

ორივე სქესისას 18 წლიდან ზევით.

პირობების გაგება შეიძლება სტამბის ადმინისტრაციასთან, კამოს ქ. № 68.

სახელმწიფო ბანკი აცხადებს

იმ პირთა საყურადღებოდ, რომ ვისაც აქვს შემოტანილი

პიანინოს ფული,

ა-წ. 30 ივნისამდე უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო სარეგისტრაციოთ საქმეების უფროსთან ამხ ბ. ლიძესთან, კიროვის ქუჩ. № 7.

8590

თანახმად საერთო კრების დადგენილებისა ა-წ. 8/VI-დან (ოქმი № 9) სწარმოებს

არტელ „ტექნოიმპრომი“-ს

ლიკვიდაცია.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და პირებმა პრეტენზიებით უნდა მიმართონ ლიკვიდკომს 25 ივნისამდე—სამღებროს № 12. რის შემდეგ პრეტენზიები განხილული არ იქნება.

8601 ლიკვიდკომი.

ტფილისის კომუნალურ მშენებლ. ტექნიკუმში

მიღების პირობები

1935—36 სასწავლო წლისათვის.

ტფილისის კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმი ამზადებს სპეციალისტებს (ტექნიკოსებს, ფართო პროფილით) კომუნალური მეურნეობისათვის შემდეგი განხრებით: ა) კომუნალური მშენებლობის, ბ) საამშენებლო საარქიტექტურო და გ) [illegible].

ტექნიკუმში მიიღება ახალგაზრდობა 16 წლიდან 22 წლამდე, რომელთაც აქვთ დასრულებული 7 წლედი ან ისეთი სასწავლებელი, რომელიც აძლევს ტექნიკუმში შესვლის უფლებას.

ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით საერთო წესით.

განცხადება გამოცდებზე დასაშვებად შემოტანილი უნდა იქნეს ხსენებულ ტექნიკუმში სპეციალობის აღნიშვნით და შემდეგი საბუთების დართვით:

ა) მოწმობა სოც. წარმოშობის და შრომის სტაჟის (განმცხადებლის ან მისი მშობლების) დადასტურებული სათანადო ორგანოების მიერ

ბ) განათლების, გ) წლოვანების, დ) ჯანმრთელობის, ე) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების მოწმობები და ვ) ორი ფოტოგრაფიული სურათი.

მიღება იწარმოებს გამოცდების ჩაბარებით შემდეგ საგნებში: ა) მათემატიკაში (წერა და ზეპირი), ბ) ისტორიაში, გ) ფიზიკაში, დ) ქიმიაში, ე) ქართულში (წერა ზეპირი).

შენიშვნა: საამშენებლო-საარქიტექტურო სპეციალობისათვის დამატებითი გამოცდა ხატვაში.

ტექნიკუმისათვის უკეთესი კონტინგენტის შერჩევის მიზნით ტექნიკუმთან საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახკომისარიატი ხსნის მოსამზადებელ კურსებს უფასოდ.

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს 25 ივნისიდან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შესასვლელი გამოცდები იწარმოებს 21-დან 29 აგვისტომდე. მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს. განცხადებების მიღება დაიწყება 10 ივნისიდან, კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმის კანცელარიაში საღამოს 4-დან 8 საათამდე.

მისამართი: შიო ჩიტაძის ქ. № 13.

273

საქ. კომ. მეურნეობის სახკომი ვ. წულუკიძე.

ტექნიკუმის დირექტორი ა. მაჭავანიძე.

გაზ. „კომუნისტში“ 6 ივნისის № 131

იყო მოთავსებული სატელეფონო სადგურის განცხადება, სადაც მე-3 მე სტრიქონში იყო დაბეჭდილი „5 თვის განმავლობაში“ უნდა იყოს 5 დღის განმავლობაში.

ტელეფონის ქსელის დირექტორი.

ს. ი. ანდრეევა

[illegible] № 29 [illegible] 7053

ექიმი

ვ. ფ. [illegible]

[illegible]

ვარციხის საბჭოს მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი მწუხარებას გამოთქვამენ მათი ტრესტის აგრო საწ. განყოფილების უფროსის ამხ. თავდიშვილის დედის

ეფემია ექვთიმეს ასული თავდიშვილის

გარდაცვალების გამო. 8596

მეგობრები: ი. მასხულია, მ. ტატიშვილი, ა. ჭილაძე, პ. ლორთქიფანიძე, ა. კეკელიძე, გ. ქელიფთარი, მ. ტერიშვილი, ჯ. ბოცვაძე, ა. კორძაია, გ. ჩიან-ტერ-გრიგორიანი, დ. მოისწრაფიშვილი, რ. უნჯიბაროვი, შ. მამუკაშვილი, გ. დოლაქიშვილი აუწყებენ საზოგადოებას ჯანსულ ფურცელაძის ძმის

შალვა ნესტორის-ძე ფურცელაძის

გარდაცვალებას. 8573

ქიათურის შავიქვის ტრესტის ტფილისის კანტორის თანამშრომლები: გ. ჩაფიძე, ი. სტეფანიანი, მ. ნაროზაშვილი, მ. გაბაიძე, ნ. შარაშენიძე, ა. ბადალოვი, გ. ბარამიძე, ა. დივანოვი, ნ. დათიშვიძე იუწყებიან ტრესტის მომარაგების უფროსის ამხ. ვანო მეხრიშვილის მამის

ალექსის

გარდაცვალებას. 8595

დამწუხრებულნი შვილები: კალისტრატე, ლეონიდე, ილია, თამარა, სეფორე, რძლები: კესარია, შუშანა, სონია, და შვილიშვილები თოხაძეები იუწყებიან

მართა ზურაბიძე—თოხაძისა

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 ივნისს, ქ. მახარაძეში. 8594

მამა ფილიპე, ცოლი აგრაფინა, ძმები: პლატონ, მაქსიმე შვილებით, და რძალი ნადია, ქეთო, სიძე ხარიტონ კვარაცხელია მწუხარებით იუწყებიან

დაუვიწყარ

პავლე ფილიპეს-ძე ჭეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 ივნისს. ს. აკეთში. 8593

დამწუხრებული მშობლები: ანიკო და სანდრო, ბებია ცაბო, ბიძა კოკი, ბიცოლა ანიკო რამიშვილები იუწყებიან მათთვის

უსაყვარლეს პატარა

როზიკოს

უდროოდ დაკარგვას. საორჯონიკიძე პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. დაკრძალვა 18 ივნისს ორჯონიკიძის ქ. № 94. 6. 192

ქ. ტფილისის, სტალინის რაიონის დამცველთა კოლექტივის გამგეობა, წევრები, სასამართლო და პროკურატურის თანამშრომლები, იუწყებიან ამავე კოლექტივის წევრის ჯანსულ ფურცელაძის ძმის

შალვა ნესტორის-ძე ფურცელაძის

გარდაცვალებას. 8573

მეზობლები: მ. მხეიძე, პ. ბუაჩიძე, ნ. კვინიკაძე, მ. ქერქაძე, ა. შარაშიძე, ვ. ჩირგაძე, ნ. სალარაძე, ბ. ჩხეიძე, ოჯახობით ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ სერგო თავდიშვილს მისი დედის

ეფემია ექვთიმეს ასულ თავდიშვილის

გარდაცვალების გამო. 8597

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16. გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №84 ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტ. მშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—37—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ 8420